2011 წელი, 3-9 თებერვალი

ფასი 1 ლარი

# ახალი განათლება

№3 (517) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


# შემოდგომაზე დავხატავ სურათს და მე ეს ტილო გამითქვამს სახელს...

## „და მაინც, ვინ ვარ ახლა მე?“

### (ადამიანი თავისთვის შედგენილი კანონებით )

*და მაინც, ვინ ვარ ახლა მე? ადამიანი, რომელსაც აქვს მხოლოდ თავისთვის შედგენილი კანონები. ეს კანონები მხოლოდ იმისთვის არის გასაგები და ასატანი. სხვა ვერც ერთი ადამიანი ამ კანონებით ვერ იცხოვრებს. ეს ადამიანი არ აქცევს ყურადღებას ჩაცმას, ხალხს, მათ აზრებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მისას. მასში არ იწვევს ტრაგედიას ან სიხარულს ყველაფერი ის, რაც სხვისთვის ძნელი ასატან-გადასატანია. ანდა, პირიქით, იწვევს... ჩემი სურვილები მიმდინარე სასწავლო წელთან დაკავშირებით ბევრი იყო. კერძოდ, მინდოდა, სალაპარაკო ლექსიკონიდან ცუდი სიტყვები ამომეშალა, კარგ ნიშნებზე მესწავლა და, რაც მთავარია, მეგობრული დამოკიდებულება მქონოდა თანაკლასელებთან. როცა კარგად მოვიქცევი, დღის რეჟიმს დავიცავ და კარგ ნიშნებს მივიღებ, მშობლები კარგად მეპყრობიან და ბევრ რამესაც დამპირდებიან ხოლმე, თუმცა, უმეტესობა არ სრულდება. რატომ? იმიტომ, რომ მეორე, მესამე ან სულაც ერთი კვირის შემდეგ, სამიანს „მივართმევ“ მათ და ყველა დაპირებაც საპნის ბუშტივით ქრება... ჩემდა „საუბედუროდ, დაბადებიდანვე ხატვისა და მწერლობის ნიჭი „დამბრალდა“. ჰოდა, კლასში ხშირად მავალებენ კედლის გაზეთისა და ალბომების გაფორმებას. ეს არც ისე რთულია, მაგრამ ბევრია...“* – ეს დათო კრაწაშვილის თავისუფალი თემაა ქართულ ლიტერატურაში. აი, ასეთი კანონებით მცხოვრებ 17 წლის დათოს განვლილმა წლებმა დაუდასტურა, რომ მას ეს ნიჭი შემთხვევით არ „დაბრალდა“, მის შემოქმედებას აღიარება მოჰყვა.



გაირბენს დრო, ჩაივლის წყლები,
საათი დარეკს, და ისიც მოვა.
გამიფრინდება ბავშვობის წლები,
მოვა ზაფხული და შემოდგომა.
შემოდგომაზე დავხატავ სურათს
და მე ეს ტილო გამითქვამს სახელს,
დაველოდები მერე ცივ ზამთარს,
და მაინც ბოლო ნახატი მამხელს.

მოვა ზამთარი, გამოუცვლელობით,
ჩაიძირებით მოგონებებში...
ოთახში ჩუმად გარდაუცვლელები
ჩემი პალიტრით და ფუნჯით ხელში.
გასვენების დღეს იქნება წვიმა.
წვეთები უკვე წუწუნს იწყებენ,
მიმაბარებენ თბილისის მიწას
და მერე ალბათ... დამივიწყებენ...



ავტოპორტრეტი


გვერდი 8-10



## გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ

რედაქცია იწყებს აქციას

### „ახალი განათლების“ წიგნის თარო

სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესავსებად
გთავაზობთ ხელმოწერებს ექსკლუზიურ ფასად!

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ხელმოწერის ღირებულება
ერთი ტომი – 12 ლარი.

საყმაწვილო ენციკლოპედია – „რა არის რა“
ხელმოწერის ღირებულება
ერთი ტომი – 11 ლარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერებიც!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 290 95 80 23; 877 13 22 83.



## მკითხველთა საყურადღებოდ!

„ახალი განათლების“ შეძენა შესაძლებელია „უაიდ დისტრიბუშენის“ პრესის გავრცელების ჯიხურებში, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში.

„ახალი განათლების“ ხელმოწერის მსურველებმა 2011 წლის ხელმოწერის თანხა ერთი წლით - 40 ლარი უნდა გადმორიცხონ ჩვენს რეკვიზიტებზე:
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ს/კ 202 058 735;
ბ/კ 220 101 502; ა/ა 123 631 000


C M Y K

ინფორმაცია

# სკოლების დაფინანსების ახალი მოდელი

სკოლების დაფინანსების ახალი მოდელით, 2011 წლიდან სკოლების დაფინანსება 44 მილიონი ლარით გაიზრდება, რაც სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციის გზით მოხდება.

ახალი ფორმულის მიხედვით, ბიუჯეტში დანაკლისი არც ერთ სკოლას არ ექნება. მოდელი მიბმულია მოსწავლეთა რაოდენობაზე, სასწავლო კურიკულუმებსა და სკოლის საჭიროებებზე.

იმისათვის, რომ სკოლების ინფრასტრუქტურა განვითარდეს, ახალი ფორმულით, ყველა სკოლას გარკვეული სახსრები ექნება, მოდელი სკოლას უფრო დამოუკიდებელს გახდის და ხელს შეუწყობს სკოლების დეცენტრალიზაციას.

სკოლების დაფინანსების ახალი მოდელი აშშ-ს განვითარების სააგენტოს ექსპერტების, სკოლის დირექტორებისა და ადგილობრივი ექსპერტების მიერ შემუშავდა.

### დაფინანსების ახალი სისტემის უპირატესობა

სკოლების დაფინანსების ახალი სისტემა თანაბარ პირობებში აყენებს როგორც მაღალმთიანი სოფლების, ასევე დიდი ქალაქების სკოლების მოსწავლეებს. ბიუჯეტში დანაკლისი არც ერთ სკოლას აღარ ექნება – ყველა სკოლას საკმარისი სახსრები ექნება იმისათვის, რომ კიდევ უფრო დამოუკიდებელი გახდეს, რაც საბოლოოდ, სკოლების დეცენტრალიზაციას გამოიწვევს.

### კონკრეტულად რას გულისხმობს სკოლების ახალი სისტემით დაფინანსება?

სკოლების ვაუჩერულ დაფინანსებას სამინისტრო ერთადერთ სწორ და უალტერნატივო გზად მიიჩევს, მაგრამ ამ სისტემაში უმთავრეს როლს უშუალოდ ფორმულა თამაშობს. 2005 წელს, როდესაც ფორმულა შემუშავდა, განათლების სისტემის წინაშე სრულიად სხვა გამოწვევები იდგა. ამ ექვსი წლის განმავლობაში, უდავოდ, ბევრი გაკეთდა, მაგრამ, სამწუხაროდ, 2005 წელს შემუშავებულ ფორმულას სერიოზული მინუსები აღმოაჩნდა. ეს ექსპერტებმა ერთხმად აღიარეს და დაასკვნეს, რომ ამ მინუსების თავისთავად გამოსწორება შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ დადგა დღის წესრიგში სკოლების დაფინანსების სრულიად ახალი ფორმულის შექმნა.

საქართველოში სულ 2200-მდე სკოლაა. აქედან, სკოლების 60-65%-ს დანაკლისი ჰქონდა, ანუ 1600-მდე სკოლას საშუალება არ ჰქონდა საკუთარი ბიუჯეტით მასწავლებელთა ხელფასები გაეცა და კომუნალური გადასახადები გადაეხადა. ეს კი, ვაუჩერული დაფინანსება აღარ არის. სკოლებს დანაკლისს სამინისტრო უნაზღაურებდა იმის მიხედვით, წლის რომელი პერიოდი იყო (ზამთარში გაცილებით მეტი იყო, გაზაფხულზე შედარებით ნაკლები). 2010 წელს, სწორი ეკონომიკური მიდგომით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 15 მილიონი ლარის დაზოგვა შეძლო, მაგრამ ამის მიუხედავად, დანაკლისმა 40 მილიონი შეადგინა, რასაც ვერანაირი სწორი მენეჯმენტი ვერ გამოასწორებდა.

ახალი მექანიზმით, ბიუჯეტში დანაკლისი არც ერთ სკოლას აღარ ექნება. თუმცა, ფორმულა, რომელიც ამჟამად შემუშავდა, შესაძლოა მუდმივი არ აღმოჩნდეს, რადგან სკოლების დაფინანსებაზე გავლენას ბავშვების რაოდენობა, სასწავლო პროგრამები თუ სკოლების რაოდენობა ახდენს.

აქამდე არსებული დაფინანსება მხოლოდ ბავშვების რაოდენობას ეყრდნობოდა და გათვლილი იყო სოფელი-დაბა-ქალაქზე. ასეთმა მიდგომამ ბევრი სერიოზული პრობლემა შექმნა. კერძოდ, რამდენიმე ათეული სკოლა თუ მათზე გამოყოფილ თანხის ათვისებას ვერ ახერხებდა, სხვა სკოლებს ბიუჯეტი არ ჰყოფნიდა. მაგალითად, ერთ-ერთ სკოლას 150 ათასამდე პროფიციტი ჰქონდა, ანუ თანხა ვერ აითვისა. მაშინ, როდესაც მის გვერდით მდებარე მეორე სოფელში სკოლას გათბობის თანხას სამინისტრო უხდიდა.

სწორედ ამიტომ, დაფინანსების ახალი ფორმულა მოსწავლეთა რაოდენობაზე, ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, სასწავლო კურიკულუმებსა და სკოლის საჭიროებებზეა მიბმული. ძველსა და ახალ მიდგომას შორის სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი განსხვავება.

თითქმის ერთი წლის განმავლობაში, აშშ-ს განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ახალი ფორმულის შემუშავებაზე სამინისტროს ექსპერტები იმ უცხოელ ექსპერტებთან ერთად მუშაობდნენ, რომლებსაც საზღვარგარეთის ქვეყნებში ასეთ საკითხებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ჩართულები იყვნენ ექსპერტ-ფინანსისტებიც. კონსულტაციები ჩატარდა ფინანსთა სამინისტროს ექსპერტებთან და საბოლოო დასკვნის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ საბაზო დაფინანსების ცნების შემოღების გადაწყვეტილება მიიღო. საბაზო დაფინანსება ნიშნავს, რომ გამართულად ფუნქციონირებისათვის, ვაუჩერის გარდა, ყველა სკოლამ სახელმწიფოსგან მოჭრილი თანხა მიიღოს. საბაზო დაფინანსება 10-დან 30 ათას ლარამდეა განსაზღვრული, რაც დამოკიდებულია სკოლის სიდიდეზე, მოსწავლეთა რაოდენობაზე და ა.შ. ახალი ფორმულა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მცირეკონტინგენტიანი სკოლებისთვისაა. სამინისტროს მიზანია, ქალაქსა თუ მაღალმთიან სოფლებში ყველა ბავშვს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს. სკოლას, სადაც 10 ბავშვი სწავლობს და 5000-ლარიან დაფინანსებას იღებს, ვერანაირი სწორი მენეჯმენტი ფუნქციონირების საშუალებას ვერ მისცემს. საბაზო დაფინანსებით კი, ასეთ სკოლებს გამართული მუშაობის შესაძლებლობა მიეცემათ.

---

❖❖❖



საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** კაჭრეთის პროფესიული კოლეჯის საერთო საცხოვრებელი, სასტუმრო და ღვინის სახლი გახსნეს.

კაჭრეთის პროფესიული კოლეჯი მდიდარი ტრადიციების მქონე სასწავლებელია, რომელიც საქართველოში სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მშენებლობის და მომსახურების სფეროს კადრების მომზადების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

ახალი ტიპის კოლეჯში, წელიწადში, 505 სტუდენტი მიიღებს პროფესიულ განათლებას. 300-ამდე სტუდენტი ისარგებლებს უფასო საერთო საცხოვრებლით. კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან პარტნიორ კომპანიებში. საუკეთესო კურსდამთავრებულების დასაქმების სურვილს გამოთქვამენ პარტნიორი კომპანიები: შპს „ავანგარდი", სს „თელიანი ველი", შპს „შუხმან ვაინ ჯორჯია", შპს „საქართველო მარანი", კორპორაცია „ქინძმარაული", სიღნაღისა და კახეთის სხვადასხვა რაიონების სასტუმროები.

კაჭრეთის პროფესიული კოლეჯი განთავსებულია სპეციალურ კომპლექსში, რომელსაც 7 ჰა ტერიტორია უკავია. აქვს რამდენიმე ძირითადი ნაგებობა: სასწავლო, საყოფაცხოვრებო და საერთო საცხოვრებლის კორპუსები, ავტოსარემონტო სახელოსნო და ღვინის სახლი. პრაქტიკული სწავლებისათვის მოწყობილი და აღჭურვილია სახელოსნოები.

2010 წელს დასრულდა საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია. მეღვინის სპეციალობის მაღალ დონეზე სწავლებისათვის აშენდა და აღიჭურვა ღვინის სახლი. ამჟამად კოლეჯი თანამედროვე დონეზე რეაბილიტირებულ, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს.

ამჟამად კოლეჯში სწავლობს სხვადასხვა ეროვნების 250 სტუდენტი და ასწავლის 42 მასწავლებელი.

2011 წლისათვის დაგეგმილია 505 სტუდენტის მომზადება 25 პროფესიაში:

*საბიუჯეტო სექტორზე* – მეღვინე, მევენახე, მეფუტკრე, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი, სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი, ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი, ტრაქტორისტ-მემანქანე, სასტუმრო საქმის მწარმოებელი, მიმღები რეცეფციონისტი, გიდი (გეოტურიზმი და ა.შ.), ტუროპერატორი (აგროტურიზმი), მზარეული, კალატოზი, მებათქაშე, მეფილე-მომპირკეთებელი, დურგალი, ელექტრიკოსი, ძრავის შემკეთებელი, სავალი ნაწილის ტექნიკოს;.

*არასაბიუჯეტო სექტორზე* – ექთნის თანაშემწე, ფარმაცევტის თანაშემწე, სტილისტი (ქალის, მამაკაცის), ავტომობილის მძღოლი (სხვადასხვა კატეგორია), ბუღალტერი.

❖❖❖

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** და საკრებულოს წევრი, ვიცე-მერი **მამუკა ახვლედიანი**, კომპანია „გოგლი-მოგლის" წარმომადგენლებთან ერთად, თბილისის პირველ საჯარო სკოლას ესტუმრნენ და მორიგი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, სასადილო გახსნეს.

სასკოლო სასადილოების კეთილმოწყობა, რომელიც უსაფრთხო და ჯანსაღი სკოლის კონცეფციის ფარგლებში ხორციელდება, გასულ სასწავლო წელს რამდენიმე საპილოტე სკოლაში დაიწყო და ახალი სასწავლო წლიდანაც წარმატებით მიმდინარეობს. სასადილოების გარემონტება და თანამედროვე აპარატურით აღჭურვა განახორციელა კომპანია „გოგლი-მოგლმა", რომელიც უკვე თბილისის რვა საჯარო სკოლაშია შესული და ზრუნავს სასადილოების ახალი და ჯანსაღი პროდუქტებით მომარაგებაზე.

თანამედროვე სასკოლო კვების ობიექტებში, პირველად საქართველოში, ანგარიშსწორება ელექტრონული ბარათებით მიმდინარეობს. ბარათები მოსწავლეებს „ლიბერთი ბანკმა" უსასყიდლოდ დაუმზადა. მშობელი მისთვის მისაღებ გარკვეულ თანხას ბავშვს ურიცხავს ბარათზე, რომელსაც იგი მხოლოდ სასკოლო სასადილოში იყენებს. ასეთი შესაძლებლობა ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის ფულთან დაკავშირებული უსიამოვნებების შემცირებას. სკოლებში ნაღდი ფულის ბრუნვის აკრძალვა და ბარათების შემოღება უსაფრთხო სკოლის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია და მიზნად ისახავს უსაფრთხო და ჯანსაღი სკოლის კონცეფციის დანერგვასა და განვითარებას.



❖❖❖



ახალი წლიდან, საქართველოში, უცხოელ მოხალისე პედაგოგთა მეორე ჯგუფი ჩამოვიდა. საგანმანათლებლო პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ფარგლებში ჩამოსული კვალიფიციური პედაგოგები ამერიკიდან, ინგლისიდან, ავსტრალიიდან, კანადიდან, ირლანდიიდან, სამხრეთ აფრიკიდან, ფინეთიდან, ფილიპინებიდან და ლიტვიდან არიან.

ინგლისურენოვან მასწავლებლებთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში იტალიური ენის პედაგოგებიც ჩამოვიდნენ. ახლად ჩამოსული პედაგოგები, ტრადიციულად, ტრენინგს გაივლიან, თბილისისა და კახეთის რეგიონის სკოლებში გადანაწილდებიან და ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად, სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის **კოკა სეფერთელაძის** განცხადებით, „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" პროექტის ფარგლებში, ინგლისურენოვან პედაგოგთა ჩამოსვლა მიმდინარე წლის განმავლობაში გაგრძელდება და დასრულდება აღმოსავლეთის რეგიონის საჯარო სკოლების მოხალისე მასწავლებლებით შევსების პროცესი.

საქართველოში 1000 უცხოელი მასწავლებელი მოღვაწეობს, მომავალი წლიდან მათი რაოდენობა 1500 იქნება.

❖❖❖

2011 წლის 20-23 იანვარს, საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების ინიციატივით, ერევანში, გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიადა ფიზიკაში, მათემატიკასა და ინფორმატიკაში. ორივე მხრიდან თითოეულ დისციპლინაში 10-10 მოსწავლე მონაწილეობდა. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი და ჟიური დაკომპლექტებული იყო როგორც სომეხი, ისე ქართველი წევრებით. ასევე, ერთობლივად იქნა შერჩეული საკონკურსო ამოცანები. ინფორმატიკაში კონკურსი გუნდური პრინციპით ჩატარდა. თითეული გუნდი ორი მოსწავლისგან შედგებოდა. ხოლო დანარჩენ საგნებში – ინდივიდუალურად. ოლიმპიადას ერევნის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-პანსიონი მასპინძლობდა. 21 იანვარს ოლიმპიადა სამივე საგანში ერთდროულად გაიმართა.

**გამოვლინდნენ გამარჯვებულები:**

**ინფორმატიკა**

**ცოტნე ტაბიძისა** და **ლადო მელიქიძის** გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი;

**ნიკა ნადირაძისა** და **ნიკოლოზ სვანიძის** გუნდმა – II ადგილი;

**აკაკი** და **ანი მარგველაშვილების** გუნდმა – III ადგილი.

**მათემატიკა**

## ინფორმაცია



**გიორგი გიგლემიანმა** – II ადგილი;
**თორნიკე აბულაძემ** – III ადგილი;
**გიორგი პატარაიამ** – III ადგილი;
**თორნიკე მანძულაშვილმა** – III ადგილი.

**ფიზიკა**

მეორე ადგილები გაინაწილეს **ჯემალ შენგელიამ** და **თორნიკე ღუტიშვილმა** (ფიზიკაში პირველი ადგილის დიპლომი არ გაცემულა).

22 იანვარს, ტექნო-პარკ „სინოპსისში“, ექვს-ექვსი საუკეთესო მონაწილე (საქართველოს მხრიდან: **ცოტნე ტაბიძე, გიორგი გიგლემიანი, თორნიკე აბულაძე, ჯემალ შენგელია, თორნიკე ღუტიშვილი** და **ლადო მელიქიძე**) პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვეს საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტებმა, რის შემდეგაც ერევნის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-პანსიონში გაიმართა საზეიმო დაჯილდოება. გამარჯვებულებს დიპლომები და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

❖❖❖

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** ყაზახეთის ჟაუტიკოვის 2011 წლის მე-7 საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებული 5 მოსწავლე პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვა.

ქალაქ ალმატიში გამართულ მე-7 საერთაშორისო ოლიმპიადაში მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-პანსიონ „კომაროვის“ (კომაროვის სკოლას სტატუსი 2010 წელს დაუბრუნდა) გუნდი მონაწილეობდა.

საქართველოს წარმომადგენლებმა ინდივიდუალურ და გუნდურ შეჯიბრებებში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: **ნიკა ბეგიაშვილმა** (მე-12 კლასი) – ინფორმატიკაში; **გრიგოლ ფერაძემ** (მე-12 კლასი) – ფიზიკაში; **გიგა გუმბერიძემ** (მე-12 კლასი) – მათემატიკაში; **ბაჩანა კუციამ** (მე-12 კლასი) – მათემატიკაში და **ჯიმშერ სხირტლაძემ** (მე-10 კლასი) – ინფორმატიკაში. გუნდურ ნაწილში – მეოთხე ადგილი და საპატიო სიგელი (სულ 5 საპატიო სიგელი გაიცა).

ჟაუტიკოვის 2011 წლის მე-7 საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობდა 46 გუნდი და 296 ინდივიდუალური მონაწილე.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნიჭიერ და წარმატებულ მოსწავლეთა ხელშეწყობას და წახალისებას მომავალშიც გააგრძელებს.



❖❖❖

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტს „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“, გაზეთმა New York Times ვრცელი სტატია მიუძღვნა.

სტატიაში, რომლის სათაურია **„კვლავ ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, ამჯერად – სიტყვით“**, ამერიკელი ჟურნალისტი წერს, რომ საქართველოში ინგლისურენოვანი მასწავლებლების ჩამოყვანის ინიციატივა საქართველოს მიზანდასახულ და დასავლური ღირებულებების მატარებელ პრეზიდენტს, ბატონ **მიხეილ სააკაშვილს** ეკუთვნის, რომელიც თავად თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას და სამართალს კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა. 2003 წლის მოვლენების შემდეგ კი, რაც პრეზინდეტი გახდა, ცდილობს, საქართველო მოსკოვის გავლენისგან გაათავისუფლოს და აშშ-სთან დააკავშიროს. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ ათასი ინგლისურენოვანი მასწავლებელი მოიზიდა და სექტემბრისთვის კიდევ ხუთასს ჩამოიყვანს, ისე, რომ საქართველოში ყოველ სკოლას ერთი ინგლისურენოვანი მასწავლებელი ჰყავდეს.

ჟურნალისტი სსრკ-ს პერიოდს იხსენებს, როდესაც კომუნისტები რუსული ენის მეშვეობით ერთმანეთისგან შორიშორს მყოფი ქვეყნების ერთ წნეხქვეშ მოქცევას ცდილობდნენ. *„მოითხოვდნენ, რუსული ენა ყოფილიყო მეორე სახელმწიფო ენა, ხშირად – პირველიც. ასე ხდებოდა ესტონეთიდან უზბეკეთამდე... მაგრამ ორი ათწლეულის წინ, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, ბევრმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ აღადგინა საკუთარი, მშობლიური ენა და უკუაგდო რუსული ენა, რათა განემტკიცებინა საკუთარი დამოუკიდებლობა და ეროვნული თვითშეგნება“* – წერს ავტორი და ასკვნის, რომ კრემლი მძაფრად აღიქვამს რუსული ენის სტატუსს, როგორც სიმბოლოს მისი ზეგავლენისა.

ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ საქართველოში ცვლილებები შესამჩნევია. მართალია, 40 წელს გადაცილებული ქართველი რუსულად თავისუფლად საუბრობს, მაგრამ ბატონი მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს, ინგლისურითაა დაინტერესებული. ამიტომ, მთავრობა ცდილობს, ეს პროცესი დააჩქაროს.

გაზეთი New York Times მკითხველს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **დიმიტრი შაშკინის** პოზიციას აცნობს, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოში, რომლის მოსახლეობა მხოლოდ 4.6 მილიონს შეადგენს, ეკონომიკური წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ განათლების




სისტემის გარდაქმნითა და გაუმჯობესებით. ამ სიახლეთა უმთავრესი მიზანია, ყოველმა ბავშვმა საქართველოში ინგლისური ენა იცოდეს. *„საქართველოს არ აქვს ბუნებრივი გაზი ან ნავთობი. ერთადერთი რესურსი, რაც ჩვენ გვაქვს, ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალია. ასე რომ, ჩვენ შეძლებისდაგვარად სრულად უნდა გამოვიყენოთ ეს პოტენციალი.“* – განაცხადა ბატონმა შაშკინმა, რომელიც ინტერვიუში განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობა რუსული ენის სწავლების წინააღმდეგი არ არის, პირიქით, მომხრეა, რუსული იყოს არჩევითი უცხო ენა, როგორც გერმანული ან ფრანგული. ზოგადად სავალდებულო კი, მხოლოდ ინგლისურია.

დიმიტრი შაშკინი აღნიშნავს, რომ აშშ-დან, კანადიდან და სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან ჩამოსული მასწავლებლები კულტურული დესპანებიც არიან. ამასთან, ინგლისურს არა მხოლოდ ბავშვებს ასწავლიან, ადგილობრივ ინგლისური ენის მასწავლებლებს ეხმარებიან. აყალიბებენ ინგლისური ენის კლუბებს და მშობლებთან ურთიერთობენ. თავად ინგლისურენოვანი მასწავლებლები კი აცხადებენ, რომ მათ მხნეობა შემატათ იმ ფაქტმა, რომ მათი ინგლისური ენის სწავლების მცდელობას საქართველოში დიდი მხარდაჭერა გამოუცხადეს.

სტატიაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ საქართველოს მთავრობა ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკას მთელ მსოფლიოში, მათ შორის სამხრეთ კორეაში გაეცნო. მუშაობს ვანკუვერში მდებარე ორგანიზაციასთან Footprints Recruiting, რომელთაც, მსოფლიოს მასშტაბით, ინგლისურენოვანი მასწავლებლების მოძიებაში დიდი გამოცდილება აქვთ.

ამერიკელი ჟურნალისტი, რომელიც პირადად შეხვდა საქართველოში მყოფ უცხოელ მასწავლებლებს, სტატიაში მათ ემოციებსაც გადმოსცემს: *„სიტყვებით ვერ გადმოვცემ, როგორი აღფრთოვანებით შემხვდნენ ბავშვები, – წერს 23 წლის* ***მეგ ბელი*** *დალასიდან, – ჩემმა მეგობარმა მასწავლებლებმაც იგივე განიცადეს, როცა პირველად შევიდნენ საკლასო ოთახში. ეს ბიტლომანიის მსგავსი ისტერია თითქმის მთელი კვირა გაგრძელდა. ბავშვები მთხოვდნენ, ხელზე ავტოგრაფი დამეწერა.“*

**დებორა კრუზი** კი, რომელიც შემოდგომის სემესტრში შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქ. ბათუმში მუშაობდა, იხსენებს, რომ, როცა მუშაობა დაიწყო, ბავშვები მოწყენილები ჩანდნენ. მათი ინგლისური ენის ყოფილი მასწავლებლები არასდროს იყენებდნენ სასაუბრო მეთოდს: *„როცა მე დავტოვე სკოლა, ისინი სკოლაში ინგლისურად საუბრობდნენ და მასწავლებლები გაოცებული იყვნენ ნანახი გარდაქმნით. ეს გაგრძელდება მაშინაც, როცა მე აქ აღარ ვიქნები. ჩემთვის ეს არის ყველაზე მთავარი – ეს არ არის დროებითი.“* – აცხადებს დებორა კრუზი.

❖❖❖

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში **მირზა (პაპუნა) დავითაიამ** საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის პრეზენტაცია გამართეს.

სასწავლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლობით შეიქმნა. პროგრამის მომზადებაში მონაწილეობას იღებდნენ სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტები.

საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის მომზადებული ერთიანი სასწავლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს სასკოლო პროგრამებთან და, დიასპორის წარმომადგენლის საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სრულყოფილ ინტეგრირებას გულისხმობს.

სასწავლო პროგრამა შემუშავებულია სამი საგნისთვის: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, გარემო პირობები, რომელშიც სწავლობენ და ცხოვრობენ.

ერთიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით, მომზადდა ვიდეოგაკვეთილები ცალკეულ საგნებში, რომლებიც მოიცავენ სასწავლო პროგრამის პრეზენტაციას, სამოდელო გაკვეთილსა და სარეკომენდაციო ლიტერატურას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უახლოეს მომავალში, საზღვარგარეთ მცხოვრები მოზარდებისთვის სახელმძღვანელოებსაც მოამზადებს. ასევე, იგეგმება მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემაც.

❖❖❖

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II**-მ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სასწავლებლისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი გადასცეს.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა ერთ-ერთმა პირველმა დააკმაყოფილა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ავტორიზაციის ყველა სტანდარტი და მას, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს დადგენილებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა. უნივერსიტეტში 500-ზე მეტი სტუდენტი ჯანდაცვის მიმართულებით ეუფლება სპეციალობას. თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად, საქართველოში, საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული 3 უმაღლესი და 25 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს.



2010 წლის 1 სექტემბრიდან საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება დაკავშირებულია ავტორიზაციის გავლასთან – საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებასთან. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია, სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად, შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილება.

საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება აქამდე ლიცენზირებას, ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციას, ორ სხვადასხვა სამსახურს ექვემდებარებოდა. განხორციელებული ცვლილებებით, საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს აღარ უწევს ორი განსხვავებული პროცედურის ორ სხვადასხვა დაწესებულებაში გავლა. თვლად მონაცემებს უკვე ხარისხობრივ-შინაარსობრივი სტანდარტები ანაცვლებენ.

საპატრიარქოში გამართული ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინს შორის დიალოგი გაიმართა, რომელიც განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს შეეხებოდა.

საგანმანათლებლო კერა

# წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზია

*დასასრული*
*დასაწყისი იხ. №2(516)*

გიმნაზიაში ყოველდღიურად სრულდებოდა დილის და საღამოს ლოცვები. სასწავლებელს მეორე სართულზე ჰქონდა სამლოცველო (შემდეგ სააქტო დარბაზი). კვირის წირვაზე ან სადღესასწაულო დღეებში მოსწავლეები ჰოსპიტლის ეკლესიაში დაჰყავდათ. კვირაში ორჯერ ტარდებოდა საღვთო სჯულის გაკვეთილი, რომელიც სავალდებულო საგნად ითვლებოდა.

წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიაში ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა. მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შემოღებულ იქნა ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე. ამიერიდან რუსულ ენას კვირაში მხოლოდ ორი გაკვეთილი დაეთმო. ასე რომ, ქართულმა და რუსულმა ენებმა როლები გაცვალეს. ადრე დაჩაგრულმა ქართულმა ენამ, რომელიც კვირაში ერთხელ ტარდებოდა და ისიც შაბათს, ბოლო გაკვეთილზე, ახლა უკვე თავისი ბუნებრივი, წამყვანი ადგილი დაიკავა გიმნაზიაში.



გამოცდები სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ ტარდებოდა – დეკემბერსა და ივნისში. ამას კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები ერქვა, რომლის ჩატარების შემდეგ მოსწავლეს ეძლეოდა მოწმობა.

გამოცდების რაოდენობა კლასების ზრდასთან ერთად იზრდებოდა. მაგალითად, მე-4 კლასში იყო 6 ან 8 გამოცდა, მე-8 კლასში კი – 10 გამოცდა. მე-8 კლასის გამოცდების ჩაბარების შემდეგ სასწავლო პედაგოგიური საბჭო ისმენდა საგამოცდო კომისიის ანგარიშს მთელი წლის განმავლობაში გიმნაზიელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შედეგების შესახებ. იგივე საბჭო ადგენდა კურსდამთავრებულთათვის ოჯახის დიასახლისისა და ოჯახის მასწავლებლის წოდების მინიჭებას ცალკეული დარგების მიხედვით. მოსწავლეების დასაჯილდოებლად იყენებდნენ პირველი და მეორე ხარისხის ჯილდოს, ოქროსა და ვერცხლის კვერს. მასწავლებლის გამორჩეულობა ვერცხლის მედლითა და ალექსანდრეს ლენტით აღინიშნებოდა.

საისტორიო დოკუმენტებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ გიმნაზიაში დიდი ყურადღება ექცეოდა რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნას. ქალთა გიმნაზიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დღესასწაულად „ნინოობა“ ითვლებოდა.

აქტიურობას იჩენდნენ საეკლესიო წრის წარმომადგენლებიც და გიმნაზიის ხელმძღვანელობას მიმართავდნენ თხოვნით, რომ მნიშვნელოვანი თარიღის დროს გიმნაზიელ ქალებს თავისუფლება და ყოველმხრივ ხელშეწყობა ჰქონოდათ, რომ ევლოთ ეკლესიაში და დასწრებოდნენ წირვა-ლოცვას.

ისე როგორც საგნების სწავლება, წირვაც, მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. წმინდა ნინოს ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებაც რუსულად საუბრობდნენ. გაზეთ „იმერეთის“ ფურცლებზე დაბეჭდილია გულისტკივილით აღსავსე წერილი – *„წმინდა ნინოს დღესასწაულის გამო“. „14-ს ამ თვეს ჩვეულებრივათ იდღესასწაულა ქუთაისის საქალებო სასწავლებელმა თავისის ტაძრის წმინდანის ნინოს დღეობა. მწირველი იყო ყოვლად სამღვდელო გიორგი. წირვაზე გალობდა სასწავლებლის გუნდი. სასწავლებლის მღვდელმა დღის შესაფერისი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც განუმარტა შეგირდებს აღმზრდელობითი მნიშვნელობა ტაძრისა. წირვის დროს კვერექსები აქა-იქ ქართულადაც ისმოდა. გალობა კი არ ყოფილა ქართული. არ ვიცი, არ იცოდნენ თუ არ ისურვეს“.*

სასწავლებელი თავიდანვე დაკომპლექტებული იყო რუსული ეროვნების მაღალპროფესიონალური და განათლების დარგში უანგაროდ მოღვაწე პედაგოგებით. თუმცა, მათ შორის იყვნენ უკიდურესად ქართველთმოძულე ადამიანებიც...

კონსტანტინე გაბარაშვილის ინსპექტორობის ხანა გარკვეული სიმშვიდის ხანა იყო წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში. მან ბევრ დევნილ ახალგაზრდას გაუთბო ობოლი გული. შეწყდა მაბეზღარობა, მონური მორჩილება და დამამცირებელი მაამებლობა. გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები წმიდა ნინოს სასწავლებლის ქება-დიდებითა და აქ ჩატარებულ ღონისძიებათა ხოტბით. სკოლაში ნამდვილი ქართული სული დატრიალდა, მაგრამ ასე, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა.

გიმნაზიაში შეიქმნა მასწავლებელთა და მშობელთა ჯგუფი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა მოსწავლეების მაღალზნეობრივად აღზრდისათვის. ყველა ამ მნიშვნელოვან მოვლენას კ. გაბარაშვილი ხელმძღვანელობდა.

ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელს წლების განმავლობაში არ ჰყავდა მუდმივი პედაგოგიური კადრები, გარდა დაწყებითი კლასებისა. უფროსი კლასების მასწავლებლები მიწვეულნი იყვნენ ვაჟთა გიმნაზიებიდან. სასწავლებელს არ ჰყავდა საკუთარი დირექტორიც. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარედ ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ითვლებოდა და სასწავლო ნაწილს ის განაგებდა. ამ საქმეს სხვადასხვა დროს უძღვებოდნენ შავრაზმელი დირექტორები: ლევანდი, კოცებე, სტოიანოვი და სხვები, რომლებიც აშკარად დევნიდნენ ქართულ ენას.

ქალთა გიმნაზიაში ქართველ პედაგოგთა რიცხვი 10%-საც კი არ აღწევდა. აი, რას გვიამბობს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის 20-იანი წლების ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი ივანე პურადაშვილი ამის შესახებ: *„რუსული ენის მასწავლებელმა დზუბინსკიმ ქართულ ენას „ძაღლის ენა“ უწოდა“.* ამის გამო ახმაურდა საზოგადოება, გაიმართა მიწერ-მოწერა, მაგრამ უშედეგოდ – ამის გამო შოვინისტი მასწავლებელი კვლავ განაგრძობდა თავის საქმიანობას.

მოწინავე საზოგადოება ცდილობდა, პასუხი გაეცა ასეთი გამოხტომებისათვის. იყო ერთეული გაკიცხვები, ცალკეული გამოსვლები, რომლებიც ზოგჯერ მკვლელობითაც კი მთავრდებოდა. მაგრამ ეს საერთო ამინდს ვერ ცვლიდა.

როგორც ცნობილია, თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა, 1886 წელს, მოკლა სემინარიის რექტორი, რეაქციონერი ა. ჩუდეცკი. მოგვიანებით, ქუთაისში, რეალური სასწავლებლის შენობაში გამართულ „ბალზე“, მკურნალის „გიმნაზიის“ მოსწავლემ იოანე ლორთქიფანიძემ (ტიტე ლორთქიფანიძის ძმა), სასიკვდილოდ დაჭრა რეალური სასწავლებლისა და კლასიკური გიმნაზიის დირექტორები, ცნობილი შავრაზმელები – ლეონტიევი და გლუშაკოვი. განთქმული ქირურგის როდზევიჩის სასწრაფოდ ჩარევამაც ვერ იხსნა ისინი საშინელი დასახიჩრებისაგან. მათ საჩქაროდ დატოვეს ქუთაისი. რამდენიმე თვის შემდეგ დაიჭირეს იოანე ლორთქიფანიძე. არასრულწლოვნების მიუხედავად, სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილი მიუსაჯეს. ამ ინციდენტის შემდეგ უფრო გაძლიერდა ქართველი მოსწავლეების დევნა-შევიწროება.

ქალთა გიმნაზიაში სწავლა, ალბათ, ტრაგედიად გადაიქცეოდა, რომ არ ყოფილიყვნენ ის მოწინავე მასწავლებლები, რომლებიც დროთა განმავლობაში ცვლიდნენ მათ. ასეთები იყვნენ განათლების დარგში უანგაროდ მოღვაწე პედაგოგები: თეიმურაზ ჭუმბურიძე, შალვა თაბუკაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ბაბო მჭედლიძე, მექი ხელიძე, ედუკი მაჭავარიანი, გიორგი დევდარიანი, მარუსია ხუნდაძე, იოანე არსენიშვილი, ივანე წულუკიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, პლატონ წულუკიძე, ივანე ჭეიშვილი, ბათლომე კუხიანიძე და სხვ.

1921-1924 წლებში სასწავლებელს ხელმძღვანელობდა არკადი ჩხენკელი. 1924 წლიდან ცენტრალური საჩვენებელი სკოლის დირექტორი იყო ნიკოლოზ მისაბიშვილი – უაღრესად განათლებული და ერუდირებული პიროვნება, მთელი რიგი სახელმძღვანელოების ავტორი. იგი 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. 1956 წელს ნ. მისაბიშვილი რეაბილიტირებულ იქნა.

წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზია ამაყობს აღზრდილთა შესანიშნავი თაობებით, რომელთაც სხვადასხვა დროს უსწავლიათ სასწავლებელში, მათ შორის უნდა აღინიშნოს: ვერიკო ანჯაფარიძე, ოლია ოკუჯავა, თამარ წერეთელი, თამარ ბოლქვაძე, მავრა და გოგუცა კუპრაშვილები, ფატი და თამარ გოკიელები, რევაზ ჩხეიძე, როდამ ჩაჩანიძე, მერი დავითაშვილი, გიორგი ნიორაძე. აქ აღიზარდნენ აკადემიკოსები: ირაკლი ჭუმბურიძე, თემურ იოსელიანი; პროფესორები: ვიტალი კაკაბაძე, ჯუმბერ ჭუმბურიძე, კოტე ანთაძე; მეცნიერების, კულტურის და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მრავალი წარმომადგენელი.

ამ სასწავლებელში, ძირითადად და ტრადიციულად, ქართული არისტოკრატიული და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ.

ამგვარად, აღნიშნული სასწავლებელი დაარსებიდან, ე.ი. 1847 წლიდან, ქალთა სასწავლებლად იწოდებოდა, 1878 წლიდან – ქალთა გიმნაზიად, 1889 წლიდან – წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიად, ხოლო 1921 წლიდან – მესამე ჰუმანიტარულ ტექნიკუმად, 1924 წლიდან – ცენტრალურ საჩვენებელ სკოლად... 1995 წლიდან სასწავლებელი ისევ წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიად იწოდებოდა, ამჟამად ის ქუთაისის №3 საჯარო სკოლაა.

**ლია გაბუნია**
*ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების კოორდინატორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი*

**გურამ გაბუნია**
*სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

## ინფორმაცია

❖❖❖



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი**, ილიას უნივერსიტეტის რექტორი **გიგი თევზაძე** და უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის წარმომადგენლები ზღვისა და ტბების კომპლექსური კვლევისათვის განკუთვნილი აპარატურის ტესტირებას დაესწრნენ.

სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შეძენილი, უნიკალური აპარატურის გამოცდა კუს ტბის ტერიტორიაზე განხორციელდა. აპარატურის უნიკალურობას მისი შესაძლებლობა განსაზღვრავს – აწარმოოს კვლევები წყლის ზედაპირიდან და გამოიკვლიოს სიღრმეში არსებული მდგომარეობა.

ბათიმეტრიული და ფსკერქვეშა პროფილირების ზღვისა და ტბების კომპლექსური კვლევის აპარატურა (2000 DSS) ინტეგრირებული, კომბინირებული სისტემაა. გამოყენებული იქნება გეოფიზიკური და გეოლოგიური კვლევების, ეკოლოგიური კვლევების, დედამიწის ქერქის აგებულებისა და აქტიური რღვევების კვლევების ჩასატარებლად შავ ზღვაში, ტბებსა და წყალსაცავებში. კვლევებში ილიას უნივერსიტეტის მკვლევარები და სტუდენტები ჩაებმებიან. ყველა მონაცემი ინტეგრირებული იქნება ერთიან მონაცემთა ბაზაში.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო პოტენციალის განვითარება სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია, რისთვისაც აუცილებელია თანამედროვე სტანდარტების კვლევითი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, კვლევითი აპარატურის შესაძენად მიზნობრივი საგრანტო კონკურსების ჩატარება. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომლის დაფინანსებითა და ხელშეწყობით არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტი ხორციელდება.

C M Y K

საუბრები ბიბლიაზე

# მსხვერპლი მორიას მთაზე



რუბრიკას უძღვება
*მაკა თაქთაქიშვილი*

სამი მგზავრის სტუმრობის შემდეგ, ერთი წლის თავზე ასრულდა მგზავრების წინასწარმეტყველება, ასი წლის აბრაამსა და ოთხმოცდაათი წლის სარას აღთქმული ვაჟი შეეძინათ. „უწოდა აბრაამმა სახელად ისააკი თავის ძეს, შეძენილს, რომელიც უშვა მას სარამ. წინადაცვითა აბრაამმა ისააკი, თავისი ძე, რვა დღისა, როგორც ნაბრძანები ჰქონდა მისთვის ღმერთს“ (დაბ.21:34). ზრუნვასა და სიყვარულში იზრდებოდა ისააკი. აბრაამსაც განუმტკიცდა რწმენა: გაჩნდა ის, ვინც განამრავლებდა მის მოდგმას, ვინც გააგრძელებდა ჭეშმარიტი უფლის სიყვარულსა და მსახურებას, ის, ვისთვისაც ცხოვრობდა და ვისაც ქვეყანას დაუტოვებდა აბრაამი. ვისთვისაც აკურთხა ღმერთმა: „კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა“ (დაბ.12:3).

გავიდა ხანი, წამოიზარდა ისააკი, გახდა 17 წლისა და გამოეცხადა აბრაამს უფალი „...აბრაამ! მიუგო: აქა ვარ!“ (დაბ.22:1) – უცვლელი პასუხი აბრაამისა, სადაც მუდმივად გამოსჭვივის მზაობა: მართალი იდგას უფლის წინაშე, ერწმუნოს უფალს და უსიტყვოდ ემსახუროს მას.

„უთხრა: მოჰკიდე ხელი შენს შვილს, შენს მხოლოდშობილს, რომელიც გიყვარს, ისააკს, და წადი მორიას მხარეში. იქ შესწირე აღსავლენ მსხვერპლად ერთ მთაზე, რომელსაც გიჩვენებ“ (დაბ.22:2). მოულოდნელი, განსაცვიფრებელი, თავზარდამცემი იყო უფლის დავალება. ცხოვრების მანძილზე არა ერთხელ დაუდასტურებია აბრაამს უფლისათვის ერთგულება, არა ერთხელ ყოფილა მზად თავი გაეწირა უფლისა და მოყვასის გულისათვის, მაგრამ ეს დავალება, ადამიანური თვალსაზრისით, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. მან საკუთარი ხელით უნდა მოაკვდინოს, მსხვერპლად შეწიროს თავისი ერთადერთი, ნანატრი, სანუკვარი ვაჟი.

ქანაანში გავრცელებული წარმართული რელიგიის მიხედვით ბავშვების მსხვერპლად შეწირვა ჯერ კიდევ მისაღები და კერპებისათვის სასურველი აქტი გახლდათ, მაგრამ სწორედ წარმართობასა და უგუნურებას ებრძოდა აბრაამი თავისი ცხოვრებით, ქადაგებითა და ღვთის შეწევნით.

„ადგა დილაადრიანად აბრაამი, შეკაზმა სახედარი, თან წაიყოლა ორი მსახური ბიჭი და ისააკი, თავისი შვილი; დაჩეხა სამსხვერპლო შეშაც, ადგა და წავიდა ადგილისკენ, ღმერთმა რომ მიუნიშნა“ (დაბ.22:3). აბრაამი მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას ყოველთვის დილიდანვე იწყებს. ეს მისი ხასიათის სიმტკიცის კიდევ ერთი ნიშანია.

ორი დღე და ღამე იარა აბრაამმა მორიას მთამდე. მესამე დღეს გაიხედა და შორიდან დაინახა ის ადგილი, სადაც უფლის ნებით, მსხვერპლშეწირვა უნდა აღესრულებინა. „აიღო აბრაამმა სამსხვერპლო შეშა, აჰკიდა ისააკს, თავის შვილს; ხელში დაიჭირა ცეცხლი და დანა, და ასე წავიდნენ ორნი ერთად“ (დაბ.22:6). არა მხოლოდ აბრაამმა იცოდა რისთვის მიუყვებოდა მთის ფერდობს, არამედ ისააკმაც. იგი ხვდებოდა თავის განაჩენს და მაინც უსიტყვოდ, მორჩილად, რწმენით მისდევდა საყვარელ მამას. ისინი ორივენი ერთი სულისკვეთებით – ღვთის რწმენითა და სიყვარულით იყვნენ აღვსილნი: აბრაამი მზად იყო მსხვერპლის შესაწირად, ხოლო ისააკი მზად იყო მსხვერპლის გასაღებად. ტრაგიკული განსაცდელის წინაშე აბრაამი არ ბობოქრობს, მდუმარეა და მის დუმილში ცხადდება წუთისოფლის წარმავლობა, სიმყიფე... ისააკის სახით ეს ეული მდგმური უცხო ქვეყნისა, არა მხოლოდ საყვარელ შვილს სწირავს, არამედ მთელი თავისი სიცოცხლისა და ცხოვრების საზრისს, რისთვისაც ვარსკვლავიან ღამეში წინაპართა ქვეყანა დატოვა და რისთვისაც ეს ნანატრი შვილი აღქმული ქვეყნის, ანუ მომავლის ცოცხალ სიმბოლოდ ექცა.

„უთხრა ისააკმა აბრაამს, თავის მამას: მამაჩემო! უთხრა აბრაამმა: რა იყო, შვილო? უთხრა ისააკმა: ცეცხლი და შეშა მოგვაქვს. აღსავლენი კრავი სადღა არის? უთხრა აბრაამმა: ღმერთი გამოაჩენს თავისთვის აღსავლენ კრავს. ასე მიდიოდნენ ორნი ერთად“ (დაბ.22:7-8). მამასა და შვილს შორის შემდგარ ამ დიალოგს უდიდესი სიღრმე და ფარული დინამიზმი სდევს თან. ისააკი კაცობრიობის ცოდვებისგან გამოსასყიდად შესაწირი კრავის შესახებ ეკითხება მამას. მამის პასუხში ერთგვარი მინიშნებაა იმ ერთადერთი კრავისა, რომელიც მამაღმერთმა თავისივე ძის სახით გამოაჩინა.

„მიადგნენ იმ ადგილს, ღმერთმა რომ უთხრა, და აღმართა იქ აბრაამმა სამსხვერპლო...“ (დაბ.22:9). უდიდესი ძალისხმევით მოემზადა აბრაამი მსხვერპლის შესაწირად: მან ქვებისაგან ააგო სამსხვერპლო, დაალაგა შეშა ისე, როგორც ამას არსებული წესი მოითხოვდა, და ბოლოს მაგრად შეკრა თოკებით თავისი ძე და დასვა აგებულ სამსხვერპლოზე. მორწმუნე ადამიანის სიცოცხლე ხომ შემოქმედისათვის ჭეშმარიტად შესაწირი ნათელი, გააზრებული მსხვერპლია.

„გაიწოდა ხელი აბრაამმა და აიღო დანა შვილის დასაკლავად“ (დაბ.22:10). სწორედ ამ მომენტში აღსრულდა ის, რასაც უფალი აბრაამისგან მოელოდა. ისააკს უნდა განეცადა სიკვდილის წამი და ხელმეორედ აღდგომა, ხოლო აბრაამი, ღმერთს სრულიად მინდობილი, დარწმუნებული, რომ სწორად იქცევა და უფალი არ გასტეხს თავის სიტყვას და აღადგენს მას, ვინც განამრავლებდა აბრაამის მოდგმას, ვინც გააგრძელებდა ჭეშმარიტი უფლის სიყვარულსა და მსახურებას – არასდროს გადავა უფლის ნებას, ზედმიწევნით ზუსტად მსახურებს მას. სწორედ ამ ურთულეს მომენტში აბრაამს კვლავ შემოესმა უფლის ხმა... „მოუხმო: „აბრაამ! აბრაამ!“ და პასუხად უცვლელად „მიუგო: „აქა ვარ“ – ის გარეგნულად მშვიდი და მიმნდობი, მზად არის განაგრძოს უფლის მსახურება – „უთხრა: ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, ნურაფერს დაუშავებ მას, რადგან მივხვდი, ღვთისმოშიში ყოფილხარ – მხოლოდშობილი შენი შვილი გამოიმეტე ჩემთვის“ (დაბ.22:12). და აღსრულდა უფლის ნება: სიკვდილის განცდის წამი სულიერი აღდგომის უსაზღვრო სიხარულით შეიცვალა. ეს გოლგოთის მისტერიის ერთგვარი მინიშნებაცაა. მესამე დღეს აღდგა იესო მკვდრეთით, მესამე დღეს აღდგება უფლის ხალხი ოსიას წიგნის მიხედვით („ის გაგვაცოცხლებს ორი დღის შემდეგ, მესამე დღეს აღგვადგენს და ვიცოცხლებთ მის წინაშე“ (ოს.6:2)). მესამე დღესაა ისააკის მსხვერპლშეწირვაც, მიუხედავად იმისა, რომ ის ფაქტობრივად არ შემდგარა და ეს არშემდგარი მსხვერპლშეწირვა ერთდროულად მისი აღდგომაც არის.

ამ ეპიზოდით აბრაამის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. ეს იყო მისი ინდივიდუალური განსაცდელი. უსიტყვო მორჩილება ამ ულმობელი და ერთი შეხედვით გაუგებარი მოთხოვნისადმი რეაქციაა ადამის დამღუპველი ცოდვის გამო და ამავე დროს აბრაამისა და მისი უფლის მჭიდრო ურთიერთობის დასტური. მწყალობელი და აღმთქმელი უფალი ახალი სახით ევლინება ადამიანს და მოულოდნელი მოთხოვნით აუქმებს თავის მიერვე მოცემულ აღთქმას. მაგრამ აბრაამის რწმენის სიძლიერე (აბრაამი „რწმენის მამაა“) იმაში მდგომარეობს, რომ ის უშიშრად შედის განსაცდელში, უსიტყვოდ ეცდევინება ღმერთს. აბრაამი დაკლავდა ისააკს, სრულადდასაწველ მსხვერპლად აღუვლენდა უფალს და დაკარგავდა ყველაფერს: პირმშოს, მისთვის უცნობ ურიცხვ ხალხს, რომელიც ისააკის მეშვეობით უნდა გამოსულიყო მისი საზარდულიდან. სრულიად მარტო მყოფი ადამიანთა შორის, ამ არაადამიანური საქმის ჩამდენი დარჩებოდა უფლის ახლობლად და მეგობრად, ღვთის ანაბარა. თუმცა, ის მდუმარედ მოქმედებდა, მისი სულის მოძრაობა შეგვიძლია მასავით ღმერთს მინდობილი იობის სიტყვებით გამოვხატოთ: „კიდეც რომ მომკლას, მისი იმედი მაქვს – მაინც დავიცავ ჩემს გზებს მის წინაშე. ისიც ხსნა იქნება, რომ უღვთო კაცი არ მივა მის წინაშე“ (იობ.13:15-16).

„გაიხედა აბრაამმა და ხედავს, აჰა, ერთი ვერძი რქებით გახლართულა ბუჩქებში. მივიდა აბრაამი, აიყვანა ვერძი და შესწირა აღსავლენ მსხვერპლად შვილის ნაცვლად“ (დაბ.22:13). ისააკის ნაცვლად ბუჩქნარში გახლართული ვერძის მსხვერპლად შეწირვა აბრაამის შთამომავლების ცოდვების გამოსასყიდზე – იესოს მსხვერპლზე მიგვანიშნებს.

აბრაამმა ფაქტობრივად იწინასწარმეტყველა მამის მიერ ძის მსხვერპლად შეწირვის, ხოლო ისააკმა ძის მიერ მამის ნების მორჩილად მიღების მთელი პროცესი: მთაზე უსიტყვოდ მამასთან ერთად ასვლა, საკუთარი ხის ჯვარის, ანუ შეშის ამ მთაზე ატანა, მამის ხელიდან სიკვდილის მორჩილება.

„უწოდა აბრაამმა სახელად ამ ადგილს: ღმერთი გამოაჩენს...“ (დაბ.22:14). ხოლო განსაცდელისგან ღირსეულად გამოსულ აბრაამს უფალი ხელმეორედ გამოეცხადა და დაუდასტურა თავისი კეთილგანწყობა „...თავს გეფიცები, ამბობს უფალი, რაკი ეს საქმე გააკეთე, რაკი მხოლოდშობილი შენი შვილი გამოიმეტე ჩემთვის, კურთხევით გაკურთხებ და გიმრავლებ შთამომავლობას ცის ვარსკვლავებივით და ზღვის ქვიშასავით; დაიმკვიდრებს შენი შთამომავლობა შენს მტერთა ქალაქებს; იკურთხებიან შენი შთამომავლობის წყალობით ქვეყნიერნი, რადგან შეისმინე ჩემი სიტყვა“ (დაბ.22:16-18). დაბრუნდა გახარებული აბრაამი თავის მსახურ ბიჭებთან ერთად ბერშებაში და ცხოვრობდა იქ დიდხანს და ბედნიერად.

გადმოცემის თანახმად, მორიას მხარეში, ერთ-ერთ მთაზე ძევს სამივე მონოთეისტური რელიგიის მიერ აღიარებული ის ლოდი, რომელიც ხმელეთის გამოჩენის პირველი ნიშანსვეტია წყლით დაფარულ დედამიწაზე. უფლის მიერ მსხვერპლშეწირვის ადგილად ეს მთა და აღნიშნული ლოდი იყო შერჩეული. ამჟამად იქ აღმართულია ომარის მეჩეთი, რომელიც უფრო ადრე სოლომონის მიერ აგებული იერუსალიმის ტაძრის ადგილას ააშენეს.

ხოლო ღმერთის მორჩილების შედეგად:

– ქვეყანა აღივსო აბრაამის უთვალავი შთამომავლით, რომლებმაც იცოდნენ და იციან, რომ არსებობს მხოლოდ ერთადერთი ცოცხალი და ჭეშმარიტი ღმერთი;

– აბრაამმა და შესაბამისად ყველამ, ვინც ღმერთის მიმართ სასოებასა და მორჩილებას გამოავლენს მიიღო დროებითი და სამარადჟამო კეთილდღეობა; სამარადისო დიდება და უკვდავება შთამომავლობაში;

– აბრაამის სახელით ხალხთა კურთხევა და დალოცვა ხდება. ღვთის მიერ თქმული აღთქმა, ხორციელად, აბრაამის იუდეველ შთამომავლობაში, ხოლო სულიერად მის ქრისტიან შთამომავლობაში აღსრულდა. ამ მოვლენის შესახებ პავლე მოციქული გვაუწყებს: „...წერილმა, რომელიც წინასწარ ჭვრეტდა, რომ ღმერთი რწმენით გაამართლებდა წარმართებს, წინასწარვე ახარა აბრაამს: „შენში იკურთხება ყველა ხალხი“. ასე რომ, ვინც რწმენისაგან არიან, მორწმუნე აბრაამთან ერთად იკურთხებიან“ (გალ. 3:8-9).



# არდავიწყება მოყვრისა

## ემიგრანტთა მიერ განვლილი გზა



**ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ინფორმაცია თბილისის 170-ე საჯარო სკოლაში ჩატარებულ საღამოზე, რომელიც აშშ-ში მცხოვრები მეორე თაობის ემიგრანტების გახსენებას მიეძღვნა. სტუმართა შორის იყვნენ ემიგრანტთა – გივი ფორაქიშვილისა და გიორგი მორალიშვილის ნათესავები და მეგობრები.**

**ინფორმაციასთან ერთად, გივი ფორაქიშვილის შესახებ მოგაწოდეთ მცირე ბიოგრაფიული მონაცემები. დღეს გიორგი მორალიშვილის შესახებ მოგითხრობთ.**

გიორგი მორალიშვილი დაიბადა 1921 წლის 18 სექტემბერს, თერჯოლაში, შეძლებული გლეხის – იასონ მორალიშვილის ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა. წარჩინებული სტუდენტი იყო და ბედის უკუღმართობა რომ არა, გიორგი მორალიშვილი თავის სიტყვას იტყოდა მეცნიერებაში და ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა მომავალი თაობის აღზრდისთვის.

ომში რომ გაიწვიეს, მეორე კურსის სტუდენტი იყო. ბევრი გაჭირვება გამოიარა. ისეთ ბანაკებში იჯდა, სადაც წყალი წელამდე სწვდებოდა. სიცივის გამო გათოშილი ჯარისკაცები მთელი დღე თოვლიან მინდვრებზე დარბოდნენ, წყლის უქონლობის გამო კი, ხელ-პირის დაბანა თოვლით უხდებოდათ, შემოფლეთილი ტანსაცმელი ეცვათ. მათი საკვების რაციონი მხოლოდ ჩაისა და შავი პურისგან შედგებოდა.

...1942 წლის ბოლო დღეები იყო, ქალაქი ხარკოვი ხელიდან ხელში გადადიოდა და ბოლოს გერმანელებმა სძლიეს. ბატონი გოგი წინა ხაზზე იბრძოდა, იგი მარცხენა ფეხში დაიჭრა და სხვა ათას კაცთან ერთად გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს, წაართვეს ყველაფერი და ერთ შემოსაზღვრულ ადგილას მიწაზე დაყარეს, საკვებად გამხმარ პურსა და დამყაყებულ ტბის წყალს აძლევდნენ, რომელიც მატლებითა და ჭიებით იყო სავსე. ამოიღებდნენ ხოლმე ჯარისკაცები რაღაც ჭურჭლით მტკნარ წყალს, შემდეგ გადააფარებდნენ ცხვირსახოცს ან მისგვარ ნაჭერს და თითქოს „გაწურულს" სვამდნენ. ამის გარდა ბანაკში საშინელი მდგომარეობა იყო. ბატონ გოგის ყოველგვარი იმედი დაკარგული ჰქონდა, ხანდახან სიკვდილსაც კი ნატრობდა, მაგრამ თავს ამ სიტყვებით ინუგეშებდა: „ბიჭო, ქართველი არა ხარ? ვაჟკაცად უნდა მოკვდე, თუ სიკვდილი გიწერია და თუ უნდა იცოცხლო, ხომ უნდა გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ"...

საკვებისა და სუფთა წყლის უქონლობის გამო ტიფი და დიზინტერია გავრცელდა. გოგიც დასნეულდა, ძალიან დასუსტდა, არავის ეგონა, თუ გადარჩებოდა. 22 წლის ბიჭს აღარც სიარული შეეძლო და აღარც ფეხზე დგომა... გამოჯანმრთელებული იტალიაში, ფლორენციაში გადაიყვანეს. ერთ ღამეს გიორგი მორალიშვილმა, გოგი ირემაშვილმა, ვასილ კონტრიძემ და ნიკოლოზ ესართიამ თავი მოუყარეს სანდო მეგობრებს და გაიპარნენ. 50 კაცი გაუდგა აპენინის მთებისაკენ გზას, სადაც პარტიზანთა ბანაკი ეგულებოდათ. ბევრი დაბრკოლების მიუხედავად, ბანაკს მიაღწიეს და მათი პარტიზანული ცხოვრება დაიწყო. ბრძოლები თითქმის ყოველდღე მიმდინარეობდა. ერთ-ერთ ბრძოლაში თოთხმეტი ქართველი დაიღუპა, გოგიმ და მისმა მეგობრებმა ისინი სოფელ რიგატონში, კაპელის კედელში დაასაფლავეს. ეს იყო 1944 წელი...

ომის დამთავრებამ გიორგი მორალიშვილს იტალიაში მოუსწრო. რა თქმა უნდა, სულმოუთქმელად ელოდა სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ ზოგჯერ ბედი უმუხთლებს ხოლმე კაცს. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა, იგი სამშობლოში ვერ დაბრუნდა.

10 წელი იცხოვრა ქალაქ პარმაში. ნათესავებთან კავშირი დაკარგული ჰქონდა. ხვდებოდა, რომ სამშობლოში დაბრუნება შეუძლებელი იყო. ამიტომ 1955 წელს გადაწყვიტა ამერიკის შეერთებულ შტატებში წასულიყო. 1956 წლის 15 მარტს იგი ამერიკაში ჩავიდა. კენედის აეროპორტში ბატონი თეიმურაზ ბაგრატიონი დახვდა, რომელმაც ნიუ-ჯერსიში, ტოლსტოი-ფონდეიშენში დააბინავა. მისივე დახმარებით იშოვა სამუშაო, შემდეგ კი საკუთარი ბიზნესიც წამოიწყო.

დაოჯახდა იტალიელ ქალბატონ ემილიაზე, რომელიც ქართველ ემიგრანტებს დღემდე დედობრივ მზრუნველობას უწევს. ბატონმა გოგიმ ოთხი ვაჟკაცი და ათი შვილიშვილი გაზარდა ქართული სულისკვეთებით.

2008 წლის 18 თებერვალს გოგი მორალიშვილის ცხედარი მისმა მეორე სამშობლომ – ამერიკამ მიიბარა.

მისი სახელის უკვდავსაყოფად, საქართველოში, მისი მშობლების საფლავზე დევს ქვა წარწერით – „ბატონ გოგი მორალიშვილს, ამერიკაში მყოფ მესამე თაობის ემიგრანტებისგან".

*170-ე სკოლის*
*IX კლასის მოსწავლეები:*
***ნინო ზივზივაძე,***
***მარი და ლილე რევიშვილები,***
***ანა ბერიძე,***
***სანდრო ხეთაგური,***
***სოფო თიგიშვილი,***
***კრისტინა გელაშვილი,***
***მირიან ბეჟიტაშვილი,***
***თიკო ფოცხვერაძე,***
***სალომე ბერძენიძე***

*პროექტის ხელმძღვანელი*
***ქეთევან ქიქოძე***



*გიორგი და ემილია მორალიშვილები*



*შვილებთან ერთად*



*მორალიშვილების ოჯახი*





# რეზო ინანიშვილის გახსენება









საგარეჯოს რაიონმა ბევრი მწერალი აღუზარდა სამშობლოს: **გოგლა ლეონიძე, რეზო ინანიშვილი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ნოდარ დიღმელაშვილი...**

*„მე სოფლის განაპირას, ვენახებში და ივრის ჭალებში გავატარე ჩემი ბავშვობა და იმ წყალ-ჭალის ხმები მომდევს ცოდვადა და მადლად“* – წერდა ბატონი რეზო ინანიშვილი, რომელიც შარშან, 20 დეკემბერს 84 წლის უნდა გამხდარიყო. დიდი მწერლის ხსოვნის საღამოს გამართვაც სწორედ იმ ბავშვების ინიციატივა იყო, ვინც თავის სიყმაწვილეს, საყვარელი მწერალივით, ცივ-გომბორის მთის კალთებზე და ივრის ხეობაში ატარებს.

სურვილი რეალობად იქცა და ამას წინათ, საგარეჯოში, შ.პ.ს „თამარ გარეჯელის“ ეროვნული კერძო სკოლის დირექციამ, მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა თანამემამულე მწერლის – რეზო ინანიშვილის ხსოვნის საღამო გამართეს.

საღამოს დაესწრნენ – მწერლის მეუღლე, ქალბატონი **როზა ინანიშვილი** და ოჯახის უახლოესი მეგობარი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ქალბატონი **თინა ღვინაძე**.

სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **დარეჯან კერატიშვილმა** რევაზ ინანიშვილის შემოქმედების შესახებ ისაუბრა, პედაგოგებმა – **მაია ფოცხვერაშვილმა** და **ნინო ბარამაშვილმა** მწერლის ბიოგრაფია მიმოიხილეს. მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხეს ამონარიდები რეზო ინანიშვილის მოთხრობებიდან, რომელთა შესახებ ავტორი წერდა: *„ჩემი ნაწერები ნამცეცებად გაბნეული სიკეთის ამოკენკვის ცდაა“.*

მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინსცენირებები რევაზ ინანიშვილის მოთხრობებიდან: „ბიბო“, „ანანურელი ულამაზოები“, „უკუღმა დაჭედილი“, „შეშაზე“, მეათეკლასელმა **თამარ ხატიაშვილმა** მსახიობური ოსტატობით წაიკითხა მონოლოგები მოთხრობიდან „ცეტები“ და „ქართველი ქალის სიყვარული“, ხოლო მოსწავლე **ელენე ჩხიტაძემ** შთამბეჭდავად წაიკითხა „ჩემი საწყალი სიყვარული“.

ბედნიერი იყო ქალბატონი როზა ინანიშვილი. მან, მოსწავლეთა თხოვნით, გაიხსენა მეუღლესთან გატარებული ცხოვრებისეული ეპიზოდები; ბავშვებს ბევრი ახალი და საინტერესო რამ უამბო მწერლის ბიოგრაფიიდან. მადლობა გადაუხადა პედაგოგებს ღონისძიების გამართვისათვის და სკოლის ბიბლიოთეკას რეზო ინანიშვილის ბოლოდროინდელი გამოცემები აჩუქა.

ქალბატონმა თინა ღვინაძემ სკოლას „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ გადასცა. ცრემლმორეულმა გაიხსენა მწერლის ცხოვრების ბოლო წლები და ისიც აღნიშნა, თუ რა ლამაზად ხატავდა მწერალი ილუსტრაციებს თავისი მოთხრობების მიხედვით.

სკოლის დირექტორმა **თამარ საგინაშვილმა** მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის და მასპინძლებს საღამოს გამართვისათვის. მან გულისტკივილით აღნიშნა: *„დღემდე არ არსებობს მწერალ რევაზ ინანიშვილის სახლ-მუზეუმი. სავალალო მდგომარეობაშია სოფელ ხაშმში, მისი მამაპაპისეული სახლი.*

*ვთხოვთ, კომპეტენტურ ორგანიზაციებს, მომავალი წლისათვის მაინც, გაითვალისწინონ, რომ საქართველოში აუცილებლად უნდა არსებობდეს ასეთი დიდი პროზაიკოსის სახლ-მუზეუმი. რეზო ინანიშვილის მოთხრობებზე თაობები იზრდება, მისი ნაწარმოებები თითქმის ყველა კლასის სასკოლო სახელმძღვანელოშია შეტანილი. ეგებ გაისად, დიდი პროზაიკოსის 85-ე წლისთავს მაინც შევხვდეთ ღირსეულად“.*

***ლეილა არჩემაშვილი,***
***ნანა ბეჟიტაშვილის ფოტოები***





## ინფორმაცია

❖❖❖

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ნოდარ სურგულაძემ** და ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში **მაჯიდ საბერმა** თბილისის №1 საჯარო სკოლაში ირანული კულტურისა და ენის ცენტრი – „ირანის ოთახი“ გახსნეს.

თბილისის №1 საჯარო სკოლაში, 1979 წლიდან 2006 წლამდე, სპარსული ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა. სკოლას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან და საქართველოში მის წარმომადგენლობასთან. ხშირად იმართებოდა ერთობლივი კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები.

2009-2010 სასწავლო წელს ირანის საელჩომ საქართველოში თბილისის რამდენიმე სკოლაში სპარსული ენის ფაკულტატური სწავლება დაიწყო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2010 წლის 1 დეკემბრიდან, პირველ საჯარო სკოლაში კვლავ აღდგა სპარსული ენის სწავლება.



## რეგიონი

# იქ, ... სამყაროს მეორე ბოლოდან!

ქართველებს ერთი კარგი სიტყვა გვაქვს – „თავგანწირვა“. ცნობიერებაში სწორედ ეს სიტყვა ამოტივტივდა, როცა ჩვენს სკოლაში ამერიკელი მოხალისე მასწავლებლის, **მაიკლ ამილის** პედაგოგიურ მოღვაწეობას გადავავლე თვალი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას, მშვიდობის კორპუსის მიერ გამართული კონკურსების შედეგად, ამერიკელ მოხალისე მასწავლებლებთან მუშაობის ოთხწლიანი გამოცდილება აქვს, მაიკლ ამილის მუშაობა მაინც გამორჩეულია. სკოლას ინგლისური ენის 5 მასწავლებელი ჰყავს. მაიკლ ამილი უყურადღებოდ არც ერთი მათგანის მუშაობას არ ტოვებს, იქ არის, ვისაც უფრო მეტად სჭირდება მისი დახმარება, შესაბამისად, ყოველდღიურად, მინიმუმ, 5 გაკვეთილს გეგმავს და ატარებს პარტნიორ მასწავლებელთან ერთად ატარებს თანამედროვე მეთოდებითა და ტექნოლოგიებით, კოლეგებს გამოცდილებას უზიარებს ღია გაკვეთილებით; პედაგოგიურ კოლექტივთან 2-დღიანი სემინარიც ჩაატარა კომპონენტების მიხედვით მოსწავლეთა შეფასების, მათი მოტივაციის ამაღლების შესახებ; გაკვეთილების დასრულებისთანავე ატარებს დამატებით მეცადინეობებს ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, მუშაობს ინგლისური ენის შემსწავლელ კლუბებში როგორც მოსწავლეებთან, ასევე პედაგოგებსა და თემის წარმომადგენლებთან, მოსწავლეებთან და დამრიგებლებთან ერთად აწყობს ამერიკისა და საქართველოსათვის დამახასიათებელ ტრადიციულ ღონისძიებებს. სასწავლო წლის ბოლომდე გეგმავს სპექტაკლის დადგმას – „რომეო და ჯულიეტა“, რათა შექსპირის ენას კიდევ უფრო დაუახლოვოს მოსწავლეები.

თუ არა თავგანწირვა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს ასეთ ყოველდღიურ შრომას დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე? შრომას, რომელიც მიზნად არა მარტო ინგლისური ენის შესწავლას, არამედ ამერიკული კულტურის, მისი ისტორიის გაცნობას ისახავს. ის მუდამ მზადაა, კოლეგებს გაუზიაროს გამოცდილება და რაც მთავარია, უსაზღვრო მოთმინებით ახორციელებს მთავარ მიზანს – ერთა შორის მეგობრობის, მშვიდობის, თანხმობის ხელის შეწყობას. მაიკლი მისაბაძი მასწავლებელია, სანიმუშო პიროვნება, რომელიც ნამდვილად პასუხობს თავის მოწოდებას.

მაიკლ ამილი ქართული ენის შესწავლითაცაა დაკავებული. მისი ნიჭიერებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სამშობლოში დაბრუნებული იქ, სამყაროს მეორე ბოლოში, მეგობრებს მოუყვება ჩვენს ტარდიციებზე და ალბათ შეეცდება აუხსნას, რომ *„ვისაც არ მოსწყურებია, მისთვის წყალი უბრალო, უფერული სითხეა; ვისაც არ ჰყვარებია, იმას არ უმღერია; ვისაც არ სწყენია, მას სიხარულის გაგება გაუჭირდება; ვისაც არ დაუკარგავს, მას არ მონატრებია; ვინც არ მომკვდარა, მან სიცოცხლის ფასი არ იცის“.*

***რუსუდან რუსია***
*აბაშის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე*

XX საუკუნის პორტრეტები

# შემოდგომაზე დავხატავ სურათს და

*პირველი გვერდიდან*

* * *

1000-მდე ფერწერული ტილო და გრაფიკული ნამუშევარი, 35 ლექსი და 10-მდე დღიური, არ შემორჩენილა მისი მუსიკალური იმპროვიზაციები, რადგან არასოდეს გადაჰქონდა სანოტო სისტემაზე. არასაკონკურსო ნამუშევართა გამოფენაზე, საუკეთესო კომპოზიციისათვის „წვიმიანი დღე“ დაჯილდოვდა სიგელითა და პრიზით „ვენერა“ – ეს მისი პირველი და სიცოცხლეში ერთადერთი აღიარებაა. სიცოცხლის შემდეგ, დავით კრაწაშვილი საზოგადოებამ გაიცნო, როგორც პატარა გენიოსი. „ეს ბიჭი გენიოსი იყო და მადლობა შევწიროთ ღმერთს, რომ დათომ ჩვენს აღტაცებაში მოსაყვანად თავისი გენიის ნაწილი დაგვიტოვა“ (მაქს გეიტორი, ხელოვნებათმცოდნე). და მაინც, ვინ იყო სულისშემძვრელი და ნათელი სევდით გაჟღენთილი ნამუშევრების – „გალაკტიონი“, „ბარათაშვილი“, „ბეთჰოვენი“, „მათხოვარი“, „ადამიანი და სამყარო“, „დაბადება“... – ავტორი?

*გოგას არქივიდან*

## ნიჭი!

**...პირველი და მთავარი** – პოტენცია, მის ახალგაზრდა ტალანტში ჩადებული შემოქმედებითი კოდი, მუხტი, რომელიც საოცრად სწრაფად მოიცავს მთელ სამყაროს, იწყება ჩვეულებრივი ბავშვური აბრა-კადაბრით, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით აქაც იგრძნობა ხაზის ნერვიული პლასტიკა. რამდენიმე წელი და... რთულდება ამოცანები, – უკვე ჩნდება პეიზაჟი, საგანი, ადამიანი; ადამიანი და მისი ურთიერთობები ჯერ ფრთხილი და გაუბედავი, შემდეგ გარკვეული, თითქმის დასრულებული, საკუთარი შეხედულებითა და ემოციით გატენილი.

**მეორე:** მისი შინაგანი ბუნება – ცნობისმოყვარეობა, ინტერესი ყველაფრის მიმართ და, რაც მთავარია, დაუკმაყოფილებლობის ყოვლისწამიერი შეგრძნება. ეს ის შეგრძნებაა, რომელიც ბოლო წლებში გააკეთებინებს ყველაფერ იმას, რის გამოც ჩამოყალიბდა დათო კრაწაშვილი, როგორც ინდივიდი.

**მესამე:** სისწრაფე და მასთან დაკავშირებული ადვილად შექმნილის ილუზია. ეს ილუზია ახლავს ყველა ჭეშმარიტი დიდი მხატვრის შემოქმედებას წარსულშიც და ახლაც; ეს ის ილუზიაა, შემდეგ ღვთიური უბრალოება რომ ერქმევა ხოლმე. წარმოიდგინეთ ტვინი, რომელიც კალეიდოსკოპური სისწრაფით არა მარტო აღიქვამს ინფორმაციის ნაკადს, არამედ ასეთივე სიჩქარით აფიქსირებს მას სახეებად, გრძნობად ნაკადად, ფერთა ურთიერთობად, პლასტიკად.

**მეოთხე:** ცხოვრება საზოგადოებაში, სკოლაში, ოჯახში; ყოველდღიური ცხოვრებისეული აღმოჩენებით მონიჭებული სიხარული, ანალიზი, ეჭვი, ურთიერთობები მეგობრებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან და სიყვარული... წიგნები, წიგნები პოეზიაზე, სიყვარულზე, მეგობრებზე, ადამიანის ვალზე ერის, ქვეყნისა და საკუთარი თავის წინაშე.

... ვისაც აქვს უნარი ჯანსაღად ისუნთქოს მშობლიური ჰაერი, მოიხიბლოს მშობლიური ბუნებით, ისტორიითა და აწმყოთი, იცხოვროს ჭეშმარიტი მოქალაქის, ერისკაცის ცხოვრებით – მისი სიცოცოცხლის თუნდაც 17 წელიც სავსებით საკმარისია ნათელი კვალისა და კეთილი სახელის დასატოვებლად...

***თემო გოცაძე***
*მხატვარი*

## მისი „იმპრესიონიზმი“ არც ფრანგულს ჰგავს და არც რუსულს

### „საოცრად უჩვეულო“

როდესაც დათოს ნამუშევრებთან ისმის სიტყვები „იმპრესიონიზმი“, „ექსპრესიონიზმი“ და ა.შ., მართებული არ იქნება ვეძიოთ რაღაც ირეალური. სინამდვილის მახვილი ხედვა და შეგრძნება განსაზღვრავს მხატვრული სახის აღმოცენების „სახვით რეჟიმს“. არ უნდა ვეძიოთ მიბაძვაც. დათოს „იმპრესიონიზმი“ არც ფრანგულს ჰგავს და არც რუსულს, ვინაიდან მან თვითონვე შექმნა იგი შუქის, ატმოსფეროს რეალობის საკუთარი ხედვისა და შეგრძნების საფუძველზე. სწორედ ამის გამო, სამართლიანობა მოითხოვს ხაზგასმით აღვნიშნოთ: დათო არავის და არასოდეს არ ბაძავდა.

ბიჭუნას შემოქმედებაში თითქმის აისახა მეოცე საუკუნის ფერწერისა და გრაფიკის ყველა ძირითადი მიმდინარეობა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დათო ვერ ელევა მხატვრული სახის რეალობას მაშინაც კი, როცა გამოსახულებას ბუნებაში პროტოტიპი არ გააჩნია და წარმოსახვის სასწაულებრივი პირმშოა. დათო თითქოს ის საოცარი ინსტრუმენტია, რომელიც ჟღერას იწყებს იმ თემის, იმ შინაარსის შესაბამისად, რომელსაც მთელი გულით განიცდის. მისი გრაფიკა რაღაც პოლიფონიური მოვლენაა...

დათო კრაწაშვილის სახელი დარჩება დიდ ხელოვნებაში ყველაზე ადრეული შესვლის მაგალითად, რომელიც მეოცე საუკუნის მიწურულს ასრულდა.

***ვერა ალექსეევა***
*ხელოვნებათმცოდნე*

## „დათოს ვარსკვლავი“

*„მხატვრის შესახებ მისმა ნახატებმა უნდა ილაპარაკონ.“*
*ვან გოგი*

1990 წელს დათო კრაწაშვილზე ფილმი შეიქმნა, რომლის იდეა ლენინგრადელ პოეტს მაქს დახიეს ეკუთვნის. სცენარის ავტორები დონარა კანდელაკი და მაქს დახიე არიან, ხოლო დამდგმელი რეჟისორი – გიორგი ბარნაველი. „დათოს ვარსკვლავი“ არ არის ტრადიციული კინოპორტრეტი, ის დამკვიდრებულ სტერეოტიპს სცილდება, აქ ვერ შეხვდებით ბიოგრაფიულ ქარგს. მასში არ მონაწილეობენ არც მხატვრის ნაცნობ-მეგობრები და არც ხელოვნებათმცოდნეები. „მხატვრის შესახებ მისმა ნახატებმა უნდა ილაპარაკონ“ – ვინსენტ ვან გოგის ეს სიტყვებია რეჟისორის ამოსავალი პრინციპი. მხატვრის პიროვნება მისივე შემოქმედებით იხსნება.

*„ფილმის ბოლოს მოჩანს დათოს სასაფლაო, მაგრამ ეს უიმედობას, ცრემლს როდი იწვევს, აქ უფრო სიამაყეა მხატვრის ძლიერი პიროვნების გამო. მართალია, მან ძალიან ცოტა ხანს დაჰყო დედამიწაზე, მაგრამ ჩვენ, თანამედროვეთ, ისეთი სულის ამოძახილი დაგვიტოვა, რომელიც მარად აგვაღელვებს, ფიქრისა და განსჯისთვის, სიკეთისთვის განგვაწყობს. ფილმის ფინალში კინემატოგრაფიულად არის ხორცშესხმული მხატვრის სულის უსასრულობასთან შეერთება – ვარსკვლავებით მოჭედილი ცით მთავრდება ფილმი, ერთი მათგანი „ციმციმებს, ქრება, ციმციმებს“...*

***გიორგი ფერაძე***

## პლანეტა „დათო“

ეს მოციმციმე ვარსკვლავი სახელად დათოა, მაქს დახიეს იდეა, ახლად აღმოჩენილ ერთ-ერთ პლანეტას დათოს სახელი დარქმეოდა, რეალობად იქცა და დათოს წინასწარმეტყველება ასრულდა – „მოვა დრო და ჩემს განვლილ გზაზე სადღაც ვარსკვლავი ამობრწყინდება“. მცირე პლანეტების საერთაშორისო ცენტრში (აშშ), ასტრონომ თამარ სმირნოვას აღმოჩენილი პლანეტა 3146 ნომრით ირიცხებოდა, 1988 წელს მას სახელად „დათო“ დაენათლა და მზის სისტემის განუყოფელ ნაწილად იქცა.



*გალაკტიონი*

*შტრიხები ბიოგრაფიიდან*

დათო კრაწაშვილი 1963 წლის 9 ივლისს დაიბადა თბილისში. მამა, მუსიკოსი და ჟურნალისტი გიორგი კრაწაშვილი სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის მკვიდრი იყო, დედა ნელი ესაკია – აბაშის რაიონი სოფელ კეთილარის. ერთმანეთი კონსერვატორიაში გაიცნეს, სიყვარულით შექმნილ ოჯახში გაჩნდა პირველი შვილი – დათო. მას ძალიან უყვარდა დედულეთი და კეთილარის ხშირი სტუმარიც ყოფილა. ხშირად ბებია და ბაბუა პატარა დათოს ეძებდნენ, რომ საჭმელი ეჭამა, 6-7 წლის ბიჭუნა კი განმარტოებული იჯდა და ხატავდა: სოფლის სახლს, ცხოველებს, ფრინველებს... მხატვრობა მის სერიოზულ გატაცებად იქცა...

დათო 31-ე სამხატვრო სკოლაში სწავლობდა, დაამთავრა მეორე ექსპერიმენტალური სკოლა და ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედი ფორტეპიანოს განხრით.

შემდეგ იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა, პედაგოგ ალიოშა ვეფხვაძესთან. მისი თანაჯგუფელები იყვნენი: დიმა ანთაძე, ზაქრო ფიცხელაური, კოკა ციხელაშვილი, ზურა ჩინჩილაკაშვილი, ზაზა ბარნაბიშვილი, გია ლომსაძე, დათო აფციაური, გია გელაშვილი, ირაკლი მუხიგული, ემზარ გოგოლაძე...

დათო კრაწაშვილმა სამხატვრო სასწავლებლის მხოლოდ ორი კურსის დასრულება მოასწრო. 1980 წლის 13 ივლისს, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის ოპერაციიდან მეთხუთმეტე დღეს, გარდაიცვალა.

სოფელ ნუკრიანში (ჭოტორში) დღესაც დგას სახლი, რომლის ხის რიკულები დათოს ხელით ამოკვეთილ ჩუქურთმას ინახავს.

*გამოფენები*

დღემდე მოწყობილია დათო კრაწაშვილის არაერთი გამოფენა როგორც საქართველოში ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ:

1981 წელი – ბორის ძნელაძის სახელობის საგამოფენო დარბაზი „ფიროსმანი“;

1982 წელი – მოსკოვი;

1982 წელი – ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეა;

1983 წელი – სანკტ პეტერბურგი; 1985 წელი, 5 ნიჭიერი შემოქმედის ხსოვნის საღამო;

1985 წელი – მოსკოვი, ახალგაზრდობის მე-12 მსოფლიო ფესტივალი;

1985 წელი – ბორის ძნელაძის სახელობის ახალგაზრდული ქალაქი;

1987 წელი – თბილისის აგრარული უნივერსიტეტი;

1988 წელი – ბულგარეთი, საერთაშორისო ეგიდით გამართული ფესტივალი;

1988 წელი – 17 წლის მხატვრის ფენომენალური შემოქმედების ნიჭის გამო სმიტსონის საერთოშორისო ასტრონომიულმა ცენტრმა დაამტკიცა წარდგინება და პლანეტას 3146 ნომრით უწოდა „დათო“;

2007 წელი – „თი ბი სი“ ბანკის საგამოფენო დარბაზი;

2009 წელი – სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

## დათოს სახელოსნო

კედლები მოხატული,
„პოლი“ მოთხუპნული,
აქა-იქ ყრია
ჩემი პალიტრები.
შავი პიანინო
ძველი და დასვრილი
და ზედ ბრონწეული,
ვაშლი, სულ წითელი.
ნახეთ, აგერ გდია
გადაჭრილი „გუბკა“,
კედელს მილურსმულა
ტელეფონის „ტრუბკა“,
თიხის ქოთნები და
თუნგის ჭურჭელი ხომ
მეც და თქვენც გეყოფათ,
აქ მე იმდენი მაქვს.
ტილოებიც არის...
მეტი რაღა მინდა,
ქვემოთ დააფერფლეთ
სიგარეტი,
...როგორც გინდათ!!!
რაო, თქვენ რას ამბობთ,
ვერ ხარ სახერხოთო?
რა ვქნა, ასეთია
ჩემი სახელოსნო.

1980 წ.

## აი, რა სწყინდა დათოს...

ეს ერთი ღამეც თეთრად
მათენდება,
გარეთ წვიმს...
მოვა ერთად დღე და დაფეთება,
აი, ეს მწყინს!
ეს პორტრეტი სხვისთვის მენანება;
ისევ წვიმს...
ყველა ხვრელში კაცი
რომ ვერ ეტევა...
აი, ეს მწყინს!
კიდევ ბევრი მწყინს,
რაც რითმში ვერ ეტევა;
ნუთუ ისევ წვიმს?!
საათიც რომ თავის რითმში
ვერ ეტევა...
აი, ეს მწყინს!!!
აი, ეს მწყინს!!!

1980 წ.

## თამაშ-თამაშით სამყაროს გადაწყობა

ის თავიდანვე ემზადებოდა მხატვრობისათვის და ეტყობა შინაგანი რწმენა, თუნდაც ინფანტილური ამბიციაც ჰქონდა საამისოდ, რათა თავი მოეაზრებინა გარკვეულ არტისტულ კონტექსტში. სამწუხაროდ, არ დასცალდა...

პირველი, რაც მის ნამუშევრებში გიზიდავს, ესაა მოტივის გრძნობა, გნებავთ, მოტივიზაცია. მის ბანალურ ნატურმორტებშიც კი გამოსჭვივის საგნებზე, უკეთ ნივთებზე მიყურადების უნარი და კულტურაც, ამ საგნების თითქოსდა ტრივიალურ დალაგებაში მათი გადალაგების პოტენციისა. ბავშვებს საერთოდ სჩვევიათ საგანთა გადალაგება. ბოლოს და ბოლოს, ხელოვნებაც ხომ საგანთა არა დალაგება, არამედ გადალაგებაა..

...ამიტომაცაა ყველა ნამდვილი მხატვარი დიდი ბავშვი, თამაშ-თამაშ რომ გადააწყობს სამყაროს და დათოც ასეთ მხატვრად უნდა ჩამოყალიბებულიყო... დათო ხატავდა დიდივით და ხატავდა ბავშვივით... ის ნამუშევრები, რომლითაც დათოს არსებობას შეგვახსენებენ ხოლმე, გარდამავალ ასაკშია შესრულებული და მათში კარგად ჩანს ხიდი ინფანტილურ და თინეიჯერულ მსოფლშეგრძნებას შორის. სულაც არაა აუცილებელი ამ ნამუშევრებზე მსჯელობისას ზედმეტი ფილოსოფოსობა!

...საერთოდ, წარმოსახვები რომ პოეტურ განძად აქციო, გენიოსად უნდა დაიბადო. ისეთ გენიოსად, როგორიც გალაკტიონი იყო! თუმცა, ვინ იცის, ეგებ გალაკტიონიც არ ყოფილა გენიოსი! ეს ის გალაკტიონია, რომელსაც ინფანტილური გრაფიკული ოპუსი უძღვნა დათომ – ბერმუხად ტრანსფორმირებული გალაკტიონის ასოციაციური ხატი.

***ანდრია დავითაშვილი***

*დღეს*

## დათოს მოგონებით სავსე ყოველდღიურობა

**გოგა კრაწაშვილი:**

ნუკრიანში ჩვენს სახლთან ასახვევ ქუჩას დათო კრაწაშვილის სახელი დაერქვა. იქ ახლა მე ჩავდივარ ხოლმე.

მამამ კონსერვატორია დაამთავრა, შემდეგ ჟურნალისტიკა, წერდა, მუშაობდა ტელევიზიაში, შემდეგ სიღნაღში მუშაობდა მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორად. დედა ისტორიკოს-არქეოლოგი იყო და მუშაობდა კონსერვატორიაში, სწორედ

XX საუკუნის პორტრეტები

# მე ეს ტილო გამითქვამს სახელს...

იქ გაიცნეს ერთმანეთი. ხელოვნებასთან ორივენი ახლოს იყვნენ.

დათო რომ გარდაიცვალა 10 წლის ვიყავი. სართოდ, მისი გარდაცვალების შემდეგ დათოზე საუბარი ოჯახში ძალიან მტკივნეული თემა იყო. მშობლები ისე ჩაერთვნენ დათოს გამოფენებში, რომ მათ ძირითად საქმიანობად სწორედ ეს იქცა. თვეობით ვიყავით ხან მოსკოვში, ხან ლენინგრადში. გამოფენა ხანდახან ექვსი თვე გრძელდებოდა და ჩვენც იქ ვიყავით.

დათო ძალიან ლამაზი ყოფილა, ქუჩაში ნაცნობები რომ ხვდებოდნენ თურმე ეუბნებოდნენ: თილისმა ატარე თვალისგან დაგიფარავსო. ძალიან ადრეულ ასაკში დაუწყია ხატვა. დედა იხსენებდა: წლინახევრის იყო, როცა გასაჩერებლად ფანქარი და ფურცელი მივეცი და იმის მერე ხატავდაო. დედა ჩემზე ფეხმძიმედ რომ ყოფილა, დათოსთვის უკითხავს: ვინ გინდა, რომ გეყოლოს – და თუ ძმაო. დათოს უთქვამს: ჩემთვის სულერთია, ბურთს რომ გავუგორებ, იმანაც გამომიგოროსო. მართლა ხშირად ვთამაშობდით. უფრო ხშირად კი, მაგიდის ჰოკეის, მაგრამ როცა ვუგებდი, ძალიან ბრაზობდა, ვერ იტანდა წაგებას.

ძალიან მინდა, დათოს ნახატები დაბინავდეს და გადავარჩინო საბოლოო განადგურებას. სახლის პირობებში ყველაფერი ნადგურდება. დათო არ გრუნტავდა სურათებს, უკვე დაწყებულია გაფუჭება. მით უმეტეს, მისი ნახატები ქაღალდზე და მუყაოზეა შესრულებული. სხვათა შორის, მაშინ საღებავები არ იშოვებოდა, მახსოვს ერთხელ დეიდამ ჩამოუტანა მოსკოვიდან.

დიდი სურვილი მქონდა მისი მუზეუმი სიღნაღში აშენებულიყო, რადგანაც თავადაც იქ, ნუკრიანში აპირებდა ცხოვრებას. შეყვარებული ჰყავდა – ნინო თოიძე, მათ დაქორწინება ჰქონდათ გადაწყვეტილი და შემდეგ აპირებდნენ საცხოვრებლად იქ გადასვლას. ვფიქრობდი, ეს სურვილი ამით მაინც ამეხდინა, რომ მისი ნახატები ნუკრიანში დამებინავებინა. მაგრამ დღემდე ეს არ მოხერხდა. სიღნაღის მშენებლობის დროს მივმართე შესაბამის ორგანოებს, მაგრამ უარი მივიღე..

მოსკოვის გამოფენაზე მოითხოვეს შთაბეჭდილებების წიგნი, რომელიც სავსეა დათოს შეფასებებით, საოცარ შეფასებებს წერდნენ, განსაკუთრებით, უცხოელები. იყო პროფესიული შეფასებებიც. რუსუდან ფეტვიაშვილის ჩანაწერი მახსენდება – რომ შეიძლებოდეს, დათოს ნახევარ სიცოცხლეს მივცემო. ასეთივე ჩანაწერებია ლენინგრადის გამოფენებზე, ეს ყველაფერი ჩემთან ინახება. შემდეგ შთაბეჭდილებების წიგნი გაიხსნა საქართველოში – თი ბი სი-ს გამოფენაზე, რომელიც სიღნაღში გაგრძელდა.

პირველი პრიზი – „ვენერა" დათომ ნიკოლაძეში აიღო კონკურსზე ნამუშევრისთვის „წვიმიანი დღე", ის ფირიც ინახება ჩემთან, მაშინ ტელევიზიამ რომ გააშუქა, კადრებში დათო ზურგს აქცევს კამერას, არ უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა. საერთოდ, ყველაფერს ჩუმად, თავისთვის, გაუხმაურებლად აკეთებდა. გარდაცვალების შემდეგ, ქაშუეთში მამამ საკურთხი მიიტანა, რომ გაიგეს ეს დათოს საკურთხი იყო, ერთ-ერთ მამაოს უთქვამს, ის ჩვენი მგალობელი იყოო. წლების შემდეგ დავიწყე ამის კვლევა, მაგრამ სამწუხაროდ, ის მამაოები ცოცხლები აღარ არიან. ლექსებსაც რომ წერდა, არავის ეუბნებოდა. ერთხელ მე თვითონ წავაწყდი, სიბნელეში იჯდა და წერდა, შუქი რომ ავანთე, ძალიან გამიბრაზდა. დათოს ძალიან უყვარდა ჯაზი, თავადაც წერდა, რამდენიმე ჩანაწერი მაქვს. კონსერვატორიაში ურჩევდნენ მუსიკას გაჰყოლოდა, ფილოლოგებიც ურჩევდნენ ეწერა, მაგრამ თავად ამბობდა, აუცილებლად მხატვარი უნდა გამოვიდეო. იმასაც ამბობდა, 36 წლის რომ ვიქნები, მერე მკითხეთ ვინ ვიქნებიო, ჯერ ჩემთვის ვერთობიო. რატომ ასახელებდა ამ ციფრს, არ ვიცი. სხვათა შორის, ნახატებს არ ინახავდა ხოლმე, ხშირად ხატავდა და ყრიდა. რაც შემორჩა, სულ დედას შეგროვებულია. მისი პედაგოგი ალიოშა ვეფხვაძე ძალიან ხშირად დედას აძლევდა მის ნამუშევრებს.

ბებია რუსთაველზე, ლაღიძის თავზე ცხოვრობდა, დათო სულ იქ იყო, დედას ჩხუბს იქ ყოფნა ერჩია. ბებია და დეიდა მას ანებივრებდნენ. სიკვდილის წინაც სამეგრელოდან ჩამოვიდა, ბებიამ შარვალი ჩაუვიწროვა, მაშინ მოდაში შემოვიდა ვიწრო შარვლები, დაბადების დღეზე მიდიოდა. დეიდამ უთხრა, ცეკვის დროს არ გაგეხესო, დათომ – რა უნდა გამეხესო, დატრიალდა, ფეხი ასწია და სწორედ მაშინ მოხდა რაღაც, წყლული გასკდა. სამეგრელოშიც ხშირად დადიოდა, ძალიან უყვარდა იქ ყოფნა. მე გათამამებული ვყავდი ყველას, დათო ხშირად მეჩხუბებოდა, ვერ ვუგებდი.



ნატურმორტი

ვერ იტანდა ვინმეს დაჩაგვრას, ყველას იცავდა. საერთოდ, ძალიან აღიზიანებდა მაშინდელი, კომუნისტური რეჟიმი. ძალიან შორს იყო მათგან. უცნაურიც იყო – მახსოვს თბილისის დინამო ევროპის ჩემპიონი რომ გახდა, ბებიას შინდისფერი ფარდა ჩამოახსნევინა და ფარდის გასაწევ ჯოხზე (რომელსაც სამეზობლო ინახავდა) გადაფინა, იკარუსის თავზე დამჯდარი დიდხანს დარბოდა რუსთაველზე ამ დროშით. ძალიან უყვარდა გართობა, იქვე რუსთაველზე ბარი იყო, საღამოობით იქ ჩადიოდა და პოეზიის საღამოებს მართავდა.

მისი ცელქობა ცნობილი იყო. დედას გამუდმებით იბარებდნენ სკოლაში ამის გამო. ბოლოს იმდენად იყო გაბეზრებული, რომ აღარ მიდიოდა და ბებიას აგზავნიდა ხოლმე. მერე გამოსავალი რომ ვეღარ ნახა, ეხვეწებოდა გარიცხეთ სკოლიდანო, მაგრამ ამაზე ასე პასუხობდნენ: როგორ გავრიცხოთ, ასეთ რამეს რომ დახატავსო.

ბებიას რეპროდუქციები ჰქონდა ხოლმე ჩარჩოებში ჩასმული. ერთ-ერთი დათომ ამოიღო და ლამაზ შავ ჩარჩოში ჩასვა „წვიმიანი დღე" და კედელზე დაკიდა. ჩვენს სახლში კედლები მოხატული იყო. სწორედ ამ კედელმა მიიქცია ერთ-ერთი ჟურნალისტის ყურადღება დათოს პანაშვიდზე, რომლის შემდეგ ჩვენს ოჯახში ჟურნალისტები ძალიან ხშირი სტუმრები გახდნენ, იწერებოდა ძალიან ბევრი სტატია დათოს შესახებ.

კედლების მოხატვის ისტორია კი ასეთია: დედა სამსახურიდან რომ დაბრუნდა, ერთ კედელზე მეგრული ვარიანტი დახვდა დახატული – ღომის ქვაბი და ბუხარი, მეორეზე კი – კახური. ნახატი მუქ ფერებში იყო და დედა გაუბრაზდა – სხვა ვერაფერი დახატეო? დათომ ხატვა შეწყვიტა და გაბრაზებულმა ხელი გადაუსვა ნახატს, კედელს ახლაც ეტყობა მისი ხელი. 7-8 საათშია დახატული, მერე დედა ნანობდა, რატომ არ დავამთავრებინეო. საერთოდ, ძალიან უყვარდა ძველი ქართული ტანსაცმელი, ჩოხის შიგნით, რომ პერანგს იცვამენ, ერთხელ ის იშოვა და ხშირად იმ პერანგით დადიოდა. მერე მამას და ჩემი ბიძაშვილის ძველ ტანსაცმელს იცვამდა.

დათოს ლექსებში ბევრი სევდაა, წერდა სიკვდილზე, ალბათ, ეს წინათგრძნობა იყო. მისი ლექსები ლაბადის ჯიბეში ვიპოვეთ. ქალაქში ძალიან ბევრი ამბობდა, დათომ ლექსი მომიძღვნაო, მათ ვთხოვდით, ეს ლექსები ჩვენთვის ეჩვენებინათ.

ბორის ძნელაძეში იყო დათოს მუზეუმი, სადაც მისი ნახატების დიდი ნაწილი ინახებოდა. შემდეგ, 90-იან წლებში (კიტოვანის დროს), ეს ნახატები წამოვიღეთ, რადგან იქ საიმედოდ არ იქნებოდა.

დამჯდარი დათო არავის უნახავს, სწრაფად ხატავდა. ერთადერთი ნახატი, რომელსაც დიდხანს ხატავდა, მეგობრის თხოვნით, მისი შეყვარებულისთვის დახატა.

სიღნაღის გამოფენა თავად შემოგვთავაზეს, პიკასოს გამოფენის შემდეგ, მაგრამ იქაც მხოლოდ 75 ნახატი გამოიფინა. თუმცა, გვირჩევდნენ, 200-ზე ნაკლები არ გამოგვეფინა, რადგან თუ გინდა დათოს ხელოვნებას ჩაწვდე, აუცილებლად უნდა ნახო, თუ როგორ გაიზარდა ის ბავშვობიდან სიცოცხლის ბოლომდე, როგორც ხელოვანიო. გამოფენა მოეწყო, მაგრამ შედეგი? პრინციპში არაფერი, გამოფენაზე ხალხი დავპატიჟეთ, რომლებიც არ ჩამოვიდნენ. ნინო ანანიაშვილი იყო, ის მოსკოვშიც ხშირად მოდიოდა დათოს გამოფენებზე, მაშინ პატარა გოგო იყო.



წვიმიანი დღე

კატალოგის გაკეთება დავიწყე, დიდხანს ვაკეთებდით. მაშინ გამომცემლობა „სამშობლომ" დაბეჭდა კატალოგი, მაგრამ კარგი ხარისხი არ არის. არადა, ძალიან მინდა კატალოგის გამოშვება, სპონსორი ჯერჯერობით ვერ ვიპოვე, ვერც ლექსების კრებული გამოვეცი. მცდელობა მაქვს, თითქოს, რაღაც დაიძვრება, მაგრამ საბოლოოდ არაფერი გამოდის.

თი ბი სი ბანკში გამოფენაზე მოვიდა ერთი პატარა გოგონა, 13 წლის, რომელსაც პირველ არხზე ანონსი უნახავს, დათო კრაწაშვილის გამოფენა რომ ეწყობოდა. გამოფენაზე ხატვის გაკვეთილიდან მოვიდა, დაათვალიერა ნახატები და შემდეგ შთაბეჭდილებათა წიგნში ასეთი ჩანაწერი დაგვიტოვა: „აქამდე ვიცოდი, რომ ყველაზე მაგარი ლეონარდო იყო, ახლა კი ვიცი, რომ დათო".

ბუნებრივია, ამ თაობამ არ იცის ვინ იყო დათო კრაწაშვილი, პოპულარიზაციასაც თანხები სჭირდება, გამოფენებსაც, ალბომსაც, წიგნის გამოცემასაც, ჯერჯერობით არაფერი ჩანს... და რაც მთავარია, ნახატების გადარჩენაა ყველაზე საშური. სახლში, იმ ოთახში, სადაც დათოს ნამუშევრები აწყვია, ყოველდღიურად შევდივარ ხოლმე და ვფიქრობ, როგორ გადავარჩინო ისინი.

დრო გადის და სურათები ფუჭდება, არც ვყიდით, ყოველდღე ვეფერებით, მაგრამ საქმეს ეს არ შველის. სხვანაირი მიდგომაა საჭირო – არ ვიცი, ქაღალდზე რესტავრაცია რამდენადაა შესაძლებელი. იმედია, ამის დროც მოვა და დათო კრაწაშვილის ნახატები კუთვნილ ადგილს იპოვის...

## დათოს ნახატები სითამამით გამოირჩეოდა

**დიმა ანთაძე, მხატვარი:**

„დათო ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. ჩვენი მეგობრობა ნიკოლაძეში დაიწყო, სადაც ძალიან საინტერესო პედაგოგები გვასწავლიდნენ. ჩვენს ჯგუფს ხელმძღვანელობდა არაჩვეულებრივი პედაგოგი ალექსანდრე (ალიოშა) ვეფხვაძე, ძალიან განათლებული და საოცარი იუმორის მქონე ადამიანი, აღორძინების მხატვრობის მოყვარული. მას სახლში ჰქონდა ძველებური საკრავი ინსტრუმენტები – მანდოლინა და სხვ. თავადაც უნდოდა ორღანის გაკეთება, ძალიან საინტერესო პიროვნება იყო. მის ჯგუფში ყოფნა ბევრის მომცემი იყო. ჩვენი ურთიერთობის ჩამოყალიბებაშიც ითამაშა გარკვეული როლი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ასაკის ვიყავით (მერვე-მეცხრე კლასის მოსწავლეები), ნიკოლაძეში უკვე სტუდენტური სული იგრძნობოდა, სკოლისაგან განსხვავებით უფრო დამოუკიდებლები ვიყავით, სტიპენდიასაც კი ვიღებდით. თვითონ დათო შინაგანად ძალიან დამოუკიდებელი პიროვნება იყო, ამასთანავე – ძალიან ემოციური. უყვარდა ჩაწვდომა დეტალებში, გნებავთ ურთიერთობაში, გნებავთ მხატვრობაში. ეს მხატვრისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თვისებაა, აქედან გამომდინარე, მისი ნამუშევრები ყოველთვის გამოირჩეოდა სკრუპულოზური და ღრმა წვდომის ნიჭით. საერთოდ, ძალიან ნიჭიერი იყო და თავის ასაკთან შედარებით – უნიკალური პიროვნება. ჰქონდა კარგი ტექნიკა,

→ 10

XX საუკუნის პორტრეტები

# შემოდგომაზე დავხატავ სურათს და მე ეს ტილო გამითქვამს სახელს...

*მე-9 გვერდიდან*

ფერის საოცარი გრძნობა, აზროვნება, რაც იმ პერიოდისთვის არც თუ ხშირი იყო, რადგანაც ისევ სოციალური რეალიზმის ზეგავლენის ქვეშ იყო ყველაფერი, განსაკუთრებით – სასწავლო დაწესებულებები. არც თუ ისე ბევრ სტუდენტს იპოვიდი მაშინ, რომელიც ასე ღიად ბაძავდა იმპრესიონისტებს თუ პოსტიმპრესიონისტებს, ამიტომაც დათოს ნახატები გარკვეული სითამამით გამოირჩეოდა. არასოდეს არ ყოფილა მიზანდასახული ნიშანზე, არ იყო კონფორმისტი ადამიანი არც ურთიერთობაში და არც სწავლაში.

ვფიქრობდი, რა ნიშანდობლივი თვისება შეიძლება გავიხსენო დათოს შესახებ. ვყოყლოჩინობდით, იმ ასაკში ხშირად სასაცილო ფორმებში ხდება ბიჭობის მტკიცება. დათო გულადი ბიჭი იყო, ჩხუბში წამომყოლი, მოკლედ, როგორც იტყვიან, „კამპანიის“ ადამიანი იყო. არ უყვარდა „სიაფანტი“ ადამიანი და გარშემომყოფთა უაზრო ქცევა, რომელიც ბუნებრივ საქციელს სცილდებოდა, ეს ყოველთვის აღიზიანებდა.

ბევრს ვმოგზაურობდით, ზაფხულში ერთი თვე ზოოპარკში გვქონდა ხოლმე პრაქტიკა, ვხატავდით ცხოველებს. ეს ერთი თვე ძალიან თბილი მოსაგონარია ჩემთვის. კარგ დროსაც ვატარებდით. თუმცა, ახლა მიჭირს განსაკუთრებული ისტორიის გახსენება.

ასაკიდან გამომდინარე, მისი თვისებებიდან ყველაზე დასაფასებელი მისი ჩამოყალიბებული შინაგანი პოზიცია იყო, გნებავთ ადამიანური, მორალური თუ ესთეტიკური. მხატვარში ეს ყველაფერი არეულია და საბოლოო რეზულტატი მის ნამუშევრებში აისახება.

დათოს უზომოდ უყვარდა თავისი კახეთი და მუსიკა. იმ პერიოდში ძალიან ვიყავით გატაცებული კლასიკური მუსიკით. მაშინ ჩვენთვის ყველაფერი არ იყო ხელმისაწვდომი, საიდუმლო მაღაზიები გვქონდა, სადაც დახლის ქვეშ ფირფიტებს ვყიდულობდით, იყო ეს ჯაზი თუ სხვა საინტერესო კონცერტების ჩანაწერები. ადრე უფრო ცოცხალი ურთიერთობა იყო, არ იყო კლასიფიკაცია გართობებისა, ჩვენ თავად ვქმნიდით გართობას, ვიგონებდით სხვადასხვა ვარიანტებს და ეს ყველაფერი იმპროვიზაციის ხარჯზე ხდებოდა. ერთი შემთხვევაც არ მახსენდება, როცა დათოს ქცევას გაღიზიანება გამოეწვია ვინმეში.

პირველი შეხვედრა დანაკარგთან, რასაც ადამიანის სიკვდილი ჰქვია, სწორედ დათოს გარდაცვალება იყო, თან ისეთ ადრეულ ასაკში. სტუდენტობის პერიოდიდან ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე და შოკისმომგვრელი დათოს გარდაცვალებაა. ჩემს მეხსიერებაში დათოს სახე ჩაბეჭდილია, როგორც ყველაზე ნათელი, შეიძლება ითქვას ბავშვურიც კი, მაგრამ მის გამომეტყველებაში სულ იგრძნობოდა ნაღველი, რომელიც დღემდე ვერ ამიხსნია, რით იყო გამოწვეული. შეიძლება, უბრალოდ, თავის ასაკთან შედარებით ღრმა ადამიანი იყო, მაგრამ ამავე დროს მსუბუქი და არა დამამძიმებელი.



*ქალის ტორსი*

არა მგონია, დღევანდელმა თაობამ იცოდეს, ვინ იყო დათო კრაწაშვილი, იმდენად დინამიური ცხოვრებაა და იმდენი ახალი ინფორმაციაა, რომ ეს გასაკვირიც არ არის. შეიძლება ვან გოგზე, გოგენსა და სეზანზე დაფიქრდნენ... აი, ფიროსმანი კი იციან. მე თავად მაქვს სტუდენტებთან შეხება და აქედან გამომდინარე ვამბობ ამას. დაახლოებით ვიცი, რა ინტელექტუალური მარაგით მოდიან ახალგაზრდები. ამიტომ, სასურველია, ასეთი ადმიანების არსებობა ხშირ-ხშირად შევახსენოთ მათ.

დათოს სულ შეყვარებული იყო. მახსოვს ერთი გოგო უყვარდა – ნინო და ამ სიყვარულის ერთგული დარჩა.

ერთი სიტყვით მისი დახასიათება ასე შემიძლია: ნათელი.

სამწუხაროდ, ამ ნათელმა ადამიანმა კომეტასავით ჩაიქროლა ძალიან სწრაფად!

## ნახატებში შერწყმული პოეზია, მუსიკა და მხატვრობა

**კოკა ციხელაშვილი, მხატვარი:**

ერთმანეთი ნიკოლაძეში გავიცანით. დათო გამორჩეული იყო თავისი ნიჭიერებით. ძალიან პოეტური იყო, ლექსებს წერდა, ჩვენც გვიკითხავდა ხოლმე. მის ლექსებში სევდა იგრძნობოდა, მაგრამ თვითონ ძალიან მხიარული და თბილი ადამიანი იყო, ეს სითბო მისი ნახატებიდანაც იღვრება. ძალიან ხშირად დავდიოდით დათოს დეიდასთან, ქალბატონ მერისთან. ის რუსთაველზე, „ლაღიძის“ თავზე ცხოვრობდა, მისი ბინა ჩვენი თავშეყრის ადგილი იყო ხოლმე, დათო თითქმის მასთან იზრდებოდა. რაც მთავარია, ქალბატონი მერი ჩვენი მეგობარიც იყო – გამორჩეულად საინტერესო, პოეტური ქალბატონი იყო, ალბათ, დათოზეც იქონია ამან გავლენა. დეიდა მერისთან ჩვენ, დათოს მეგობრებს, ჩვენი მეგობრებიც მიგვყავდა ხოლმე.

ტექნიკუმიდან ექსკურსიებზე დავდიოდით, ძალიან ხშირად – კახეთში. დათოს არაჩვეულებრივი დედ-მამა ჰყავდა. ერთხელ დათო რამდენიმე დღე დაიკარგა, არ ჩანდა, მერე გამოჩნდა და გვთხოვა, ჩემთან ავიდეთ სახლშიო. არ დამავიწყდება ის ემოცია, როცა ავედით და დათოს ერთ-ერთ ოთახში მის მიერ მოხატული კედელი დაგვხვდა. საოცარი შთაბეჭდილება დატოვა, კედელი მთლიანად მოხატული იყო ეთნოგრაფიულ სტილში. მართლა ნიჭიერი იყო. მისი ნიჭი მარტო ფერწერაში კი არ გამოიხატებოდა, საერთოდ გრძნობდი მის განსხვავებულობას. ძალიან უყვარდა მუსიკა, ეს მის ნახატებში იგრძნობა კიდევაც. პოეზია, მუსიკა და მხატვრობა – ყველაფერი ორგანულად არის შერწყმული მის ნამუშევრებში.

გასულ წელს, თი ბი სი-ს საგამოფენო დარბაზში, მისი გამოფენა მოეწყო. გამოფენა რომ ვნახე, ჩემს თვალწინ კიდევ ერთხელ ჩაირბინა ბავშვობამ, ერთად გატარებულმა სტუდენტობის პერიოდმა. მისი ნახატები, როცა ახლა შევხედე, სულ სხვაგვარად დავინახე. იმ ასაკისთვის ზედმეტად დიდი მომეჩვენა.

ძალიან ბევრს მუშაობდა. იმ პერიოდში, ასაკიდან გამომდინარე, ხატვას უფრო ზერელედ ვუყურებდით. მას, ჩვენგან განსხვავებით, თითოეულ ნამუშევარზე ბევრი ჰქონდა ნაფიქრი. ამას სხვაზე ვერ გეტყვით, მაგრამ პირადად მე მაშინ კომპოზიციაზე ამდენი არ მიფიქრია. მას ისეთი კომპოზიციები აქვს დახატული, რომ ღრმა ხედვა და ნაფიქრი იგრძნობა. თითქოს, ასწრებდა ამას ყველაფერს. მუშაობის სხვაგვარი ხალისი ჰქონდა და ამით შეძლო, სიცოცხლის მოკლე პერიოდში, ამდენი რამის დატოვება.

ძალიან პატიოსანი ადამიანი იყო, ერთი სიტყვით კი ასე დავახასიათებ – ბრილიანტი ჩვენი თაობის ახალგაზრდობისთვის, ანათებდა და ყოველთვის გაანათებს.

## *დათოს დღიურებიდან*

* * *

ახლა რა ვარ მე? მხატვარი!.. ჩემთვის ლეონარდოც და პიკასოც, სხვისთვის, ალბათ არაფერიც... მოკლედ, მთელი ჩემი შინაგანით – ხელოვანი, თუ შეიძლება „მას“ ასე ეწოდოს.

„უფროსების“ ლაპარაკით, ნიჭი მაქვს, თურმე, განუსაზღვრელი: ხატვის, მუსიკის, მწერლობის, ორატორობის... მოკლედ, ჩუქება რომ შემეძლოს, ალბათ, ახლობლებს ვუწილადებდი ცოტ-ცოტას ყველადან.

ეჰ, რა მეხუმრება, რაც მაქვს, ნეტავ ისიც არ დავკარგო, თორემ ჩუქებით, დარწმუნებული იყავით, არავის ვაჩუქებ.

* * *

ამ ერთ ღამეში მე თვალი გადავავლე მთელს ჩემს თითქოსდა უმნიშვნელო ცხოვრებას. უმნიშვნელოს იმიტომ, რომ მე ჯერ სულ თხუთმეტი წლისა ვარ. თხუთმეტი წლის წინ მოვევლინე ამ არეულ-დარეულ ქვეყანას.

რა ვიცოდი პირში სოსკაგაჩრილმა ბავშვმა, რომ ერთი წლის შემდეგ ქვეყანაზე გაჩნდებოდა ადამიანი, წარმომადგენელი სამყაროს უნაზესი და უფაქიზესი „მეორე ნახევრისა“, და რომ ჩვენ შევხვდებოდით ერთ ზაფხულს ერთმანეთს, და, რომ დაიწყებოდა ამიერიდან მხოლოდ და მხოლოდ წვიმები ჩემს გულში და ვინ იცის, როდის გამოიდარებდა.

სად შემეძლო, წარმომედგინა ეს ბედნიერება, რომელიც მელოდა. მეთხუთმეტე ზაფხულს, იის თხუთმეტი ყვავილობიდან...

## „უწვერულვაშო ნიკალა“

*„ამბობენ, სიცოცხლეში ფიროსმანი მხოლოდ პიკასომ აღიარა, რადგან არ იცნობდა და ისე დახატაო. აფსუს, რომ პიკასო აღარ იყო ცოცხალი მაშინ, როდესაც ნიკალას მშობლიურმა კუთხემ – კახეთმა შვა ახალი „უწვერულვაშო ნიკალა“, დათო კრაწაშვილი, რომლის ორიგინალურ და საოცარ მხატვრულ სამყაროს, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოსჩენია თავისი ზდანევიჩები პიკასო მით უფრო!“*

***მარინა გოგოლაშვილი***

ვინ იცის, დათოს ზდანევიჩები გამოჩნდნენ და მის შემოქმედებაში დასმული მრავალწერტილი შეავსონ. მანამ კი, დათოს მიერ დასმულ კითხვას: ვინ ვარ ახლა მე? წლების შემდეგ, ჩვენეული შემოკლებული პორტრეტით გავცემთ პასუხს: გენიოსი, „უწვერულვაშო ნიკალა“, პოლიფონიური მოვლენა, თავბრუდამხვევი, ადრეული ყვავილობა, ბრწყინვალე მზე, ნათელი, ბრილიანტი...

***ლალი ჯელაძე***

# ინფორმაცია

❖❖❖



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კომპიუტერულ კომპანია „ალგორითმს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა.

ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია ალგორითმი, 2011 წლის ივნისისთვის, უზრუნველყოფს საქართველოში კომპიუტერების ქარხნის აშენებას. ახალი კომპიუტერული ქარხანა ნეთბუქებს გამოუშვებს, რომლებიც წელს, პრეზიდენტის ინიციატივით, ყველა პირველკლასელს უსასყიდლოდ გადაეცემა.

ღონისძიებას მსოფლიოში ცნობილი კომპიუტერული ფირმის ,,ინტელი“ გლობალური განათლების პროექტის დირექტორი **ბრაიან გონსალესიც** დაესწრო. „ინტელი“ პროექტის „კომპიუტერი პირველკლასელებისთვის“ მთავარი მხარდამჭერია.

მოსწავლეებისთვის ნეთბუქის გადაცემა მიზნად ისახავს განათლების სისტემაში მსოფლიო სტანდარტების დანერგვას, ბავშვებში შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და მათ ინტეგრაციას განათლების საერთაშორისო სივრცეში.

ნეთბუქს დამხმარე ხასიათი ექნება და მოსწავლეები მას სკოლის სახელმძღვანელოებთან ერთად გამოიყენებენ. კომპიუტერში ჩატვირთული იქნება სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, ასევე კლასგარეშე ლიტერატურა.

ნეთბუქი მსოფლიოს წამყვანი კომპანიების, ექსპერტებისა და ფსიქოლოგების ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა. კომპიუტერში გათვალისწინებულია ბავშვის ფსიქოლოგია და მისი უნარ-ჩვევები, რომელსაც მოსწავლეს ნეთბუქი კიდევ უფრო უვითარებს.

❖❖❖

თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტმა გასვლითი ლექციების ციკლი დაიწყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები წეროვანის №3 საჯარო სკოლას ესტუმრნენ და მოსწავლეებისთვის ლექციები ჩაატარეს. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ნოდარ სურგულაძე**, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე **ანდრია ჭულუხაძე** და თსუ-ს რექტორი **ალექსანდრე კვიტაშვილი** დაესწრნენ.

თსუ-ს პროფესორმა **ვახტანგ ლიჩელმა** წაიკითხა ლექცია თემაზე „ქართველები და მათი ძველი კულტურა“, ხოლო პროფესორმა **რევაზ ლომსაძემ** – ლექცია „ჩვენ გარშემო ფიზიკური პროცესები – ელექტრომაგნიტური ტალღები და ბგერები“.



მშობელთა კრება

# საიდან ჩნდება ბავშვში აგრესიულობა?



ბავშვის ემოციური არასტაბილურობა, უმეტეს შემთხვევაში, დამოკიდებულია ოჯახზე, მის სულიერ მდგომარეობაზე, აღზრდის სტილზე. ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვი ფიქრობს, რომ მშობელი უსამართლოდ ექცევა, ტყუილუბრალოდ სჯის. რადგან მას უფროსების საქციელზე სათანადო რეაგირების შესაძლებლობა არ აქვს, აგრესიული ხდება და ამ აგრესიას სხვების, შედარებით უფრო დაუცველი პირების (ბებია, პატარა ძმა ან და...), ცხოველების, მცენარეების, უსულო საგნების მიმართ ავლენს. რაც უფრო უხეშად და მკაცრად ექცევიან ბავშვს შინ, მით უფრო მეტად ავლენს აგრესიულობას სხვების მიმართ.

როდესაც მშობლებს მიაჩნიათ, რომ ბავშვი არასწორად იქცევა ისინი დასჯის განსხვავებულ ფორმას მიმართავენ: სცემენ; კუთხეში აყენებენ; უშლიან იმის გაკეთებას, რაც უყვარს; კეტავენ ოთახში – ეს დასჯის უხეშ ფორმად შეგვიძლია მივიჩნიოთ; ბავშვებზე ზემოქმედების უფრო მსუბუქი ფორმაა წყნარად, მშვიდად ახსნა იმისა, რომ მათი საქციელი არასწორია; დარწმუნება, რომ შეიძლება საქმე სხვაგვარად მოგვარდეს, არასწორი საქციელიდან ისეთზე გადართვა, რომელიც უფრო მეტად შედეგიანი და სწორი იქნება.

ბავშვების აგრესიულობა უფრო მეტად იმ ოჯახებში შეინიშნება, სადაც აღზრდის მეთოდად დასჯის უხეშ ფორმას იყენებენ. გოგონები ბიჭებზე მეტად აგრესიულები არიან. უფრო ემოციურად, აღშფოთებით გამოხატავენ თავიანთ განწყობას. ბიჭები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, თუ რა ფორმით ისჯებიან; აგრესიული „აფეთქება“ დაახლოებით ერთნაირი ფორმით ვლინდება ორივე – მკაცრი და შედარებით იოლი – დასჯის შემთხვევაში.

აქედან გამომდინარე, ვერიდოთ გოგონების მკაცრად დასჯას. უხეში მოპყრობის შედეგად მიღებულ ემოციებზე ისინი დაუყოვნებლივ რეაგირებენ, როგორც კი საშუალება მიეცემათ. ბიჭების მკაცრი დასჯა ნაკლებად მნიშვნელოვანია სასურველი შედეგის მისაღწევად და პრაქტიკულად მათ საქციელზე გავლენას არ ახდენს.

გახსოვდეთ! საჭიროა სიფრთხილე და ზომიერება! უხეშმა დასჯამ ბავშვი (გოგოც და ბიჭიც) შეიძლება ნევროზამდე მიიყვანოს – გაუჩნდეს შიში, გახდეს ზედმეტად ნერვიული, დაებას ენა, ზიანი მიადგეს მის ჯანმრთელობას.

მშობლების საყურადღებოდ! რაც შეეხება თქვენს გადამეტებულ აგრესიულობას, დაფიქრდით, რატომ ხართ განერვიულებული. არასოდეს გაუბრაზდეთ ბავშვს უსაფუძვლოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ნერვებაშლილი ხართ. ეცადეთ, თქვენი აგრესიულობა მიმართოთ იქით, საიდანაც წამოვიდა, შესაბამისად, ბავშვი ტყუილუბრალოდ არ ანერვიულოთ და მასში ანალოგიური რეაქცია არ გამოიწვიოთ.

## რამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის აგრესიულობა?

ბავშვის აგრესიულობის მიზეზი შეიძლება საკუთარი თავის რწმენის არქონა ან სხვების მხრიდან ინდიფერენტული დამოკიდებულება გახდეს.

ხშირად ბავშვი ისეთ გარემოში ცხოვრობს, სადაც მისდამი ემოციური დამოკიდებულება ნაკლებად შესამჩნევია. მას არ სჯიან, მაგრამ არც არაფრით ახალისებენ. აქტიური წახალისება კი, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი არგუმენტია ბავშვის, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბების პროცესში. ის მშვიდად არის, როდესაც გრძნობს, რომ მისი არსებობა ფასეული და მნიშვნელოვანია ოჯახისთვის.

## როგორ წავახალისოთ ბავშვი?

ერთნი აქებენ შვილებს კარგი საქციელის გამო, მაგალითად, რაღაც ისწავლეს ან ისე მოიქცნენ, როგორც დაარიგეს.

არსებობენ მშობლები, რომლებიც სრულიად უმიზეზოდ აქებენ შვილებს, მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი არსებობენ, მათ გვერდით არიან. აქებენ მაშინაც კი, როდესაც მათ საქებარი არაფერი გაუკეთებიათ.

არიან ისეთებიც, რომლებიც არასოდეს შეაქებენ შვილს, მის წარმატებას არ იმჩნევენ და არც წარუმატებლობა აღელვებთ. შვილის საქციელი მათში არავითარ ემოციას არ აღძრავს.

უნდა აღინიშნოს, რომ კავშირი აგრესიულობასა და იმ ფაქტს შორის, რომ ბავშვის ემოციური წაქეზება ნაკლებად ხდება, საკმაოდ მჭიდროა. მშობლის უემოციურობა, სულიერი სიცარიელე, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს, აგრესიულობის გაცილებით უფრო ძლიერი სტიმულატორია, ვიდრე მკაცრი დასჯა.

თუ ბავშვს მკაცრად, ხანდახან არასამართლიანადაც კი სჯიან, მან ეს შეიძლება განიცადოს, მაგრამ გადაიტანოს, იმიტომ, რომ ეს, გარკვეულწილად, მისთვის მანიშნებელია იმისა, რომ ამჩნევენ და აღიარებენ, როგორც ოჯახის წევრს.

როცა შვილის საქციელზე მშობლები სათანადოდ არ რეაგირებენ, ეს, მისი მხრიდან, აღიქმება, როგორც საკუთარი პიროვნების არარსებობის დამამტკიცებელი ფაქტი და ყველაზე მკაცრ დასჯაზე უარესია.

ასე რომ, არ დავიშუროთ ყურადღება შვილების მიმართ, ვეცადოთ, შესაბამისი რეაქცია მივცეთ ბავშვის საქციელს. გვახსოვდეს, უყურადღებობა იგივე დასჯაა.

## არის თუ არა თქვენი ბავშვი აგრესიული?

ამის გასარკვევად გთავაზობთ კითხვარს. უპასუხეთ „დიახ“ ან „არა“, იყავით ყურადღებით და არ დაუშვებთ შეცდომებს.

1. არის თუ არა თქვენი პატარა სხვა ბავშვებზე მეტად აგრესიული?
2. ამტვრევს სათამაშოებს?
3. ამტვრევს ნივთებს?
4. როცა ცუდ ხასიათზეა, ისვრის საგნებს?
5. შეუძლია გაღიზიანებისას მოიქნიოს ხელი და დაარტყას ვინმეს?
6. არასოდეს მოწყვეტს ფოთოლს ან ყვავილს ოთახის მცენარეს?
7. ქუჩაში ძაღლს ან კატას განგებ არასოდეს დააბიჯებს ფეხს?
8. დააბიჯებს თუ არა ფეხს მწერებს?
9. ახლობლებთან (ბებია, და, ძმა და სხვ.) თამაშის დროს, შეუძლია თუ არა, უნებლიეთ, მათ ტკივილი მიაყენოს?
10. მასზე სუსტ ბავშვებთან თამაშის დროს სარგებლობს ამ უპირატესობით?
11. თამაშის დროს, შეუძლია თოჯინას ამოთხაროს თვალები, მოაძროს ხელ-ფეხი, ყური, მოაჭრას თმა ან სხვა „ზედმეტი“ დეტალები?
12. განრისხებული და გაღიზიანებულიც კი არ ამსხვრევს ჭურჭელს?
13. როდესაც ვერავინ ხედავს, ჩქმეტს, ქაჩავს თმას ან კბენს სხვა ბავშვს?
14. წიგნის დათვალიერებისას ხევს ფურცლებს?
15. ხატვის დროს ამტვრევს ფანქრის წვერს ძლიერი დაჭერით?
16. ხშირად ჰკრავს ხელს ან მუჯლუგუნს გვერდზე მდგომ მეგობარს?
17. ხშირად პასუხობს უფროსების შენიშვნებზე სალანძღავი სიტყვებით?
18. ბავშვებთან შეკამათებისას იყენებს შეურაცხმყოფელ სიტყვებს?
19. განაწყენებული ხშირად გადის სხვა ოთახში, ურტყამს თავს კედლებსა და ავეჯს, მუშტებს უშენს ბალიშს?

### გაცემული დადებითი პასუხების მიხედვით, დაითვალეთ ქულები

**თუ შედეგი 0-5 ქულას შეესაბამება,** შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. სჯობს იმაზე იფიქროთ, ყოველთვის შეძლებს თუ არა თქვენი შვილი თავის დაცვას რთულ სიტუაციაში და ხომ არ გახდება სხვა ბავშვების მხრიდან აგრესიის სამიზნე;

**6-12 ქულა** აგრესიულობის საშუალო მაჩვენებელია. დამახასიათებელია პატარების უმრავლესობისათვის. შეეცადეთ გაიგოთ, როგორი სიტუაცია ანერვიულებს თქვენს პატარას და ეცადეთ აარიდოთ ასეთ სიტუაციას.

**თუ ქულები 13-ს გადასცილდა**, ეს ნიშნავს, რომ ბავშვს არასწორად ეპყრობით. თქვენ ვერ გაარკვევთ, რა იწვევს მის აგრესიულობას, სჯობს პროფესიონალ ფსიქოლოგს მიმართოთ.

ინფორმაცია

პროფესორების გასვლითი ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორეტაპიანი პროექტია, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

პირველ ეტაპზე თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები იძულებით გადაადგილებულ პირთა 8 კომპაქტურ დასახლებას ეწვევიან და სკოლის ასაკის მოზარდებს სხვადასხვა თემებზე ლექციებს ჩაუტარებენ, ხოლო პროექტის მეორე ეტაპი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსკურსიას, მისი ისტორიისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების გაცნობას გულისხმობს.

პროექტი „საბავშვო უნივერსიტეტი“ თსუ-ს ბაზაზე უკვე მეორე წელია ხორციელდება. პროექტის მიზანია სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის სასწავლო და კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, მომავალი სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო პოტენციალის გაცნობა, მოსწავლეების დაინტერესება ფუნდამენტური მეცნიერებებითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაცია.

პროექტის „საბავშვო უნივერსიტეტი“ ფარგლებში, მოსწავლეები მოისმენენ თსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა პოპულარულ ლექციებს ისტორიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ეკონომიკის, მედიცინის, ჰუმანიტარულ და სხვა მეცნიერებებში.

❖❖❖

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** თბილისის №64 საჯარო სკოლაში ქართული ცეკვის პირველი გაკვეთილის მიმდინარეობას გაეცნო. ცეკვის გაკვეთილების პილოტირება, 2011 წლის იანვარში, თბილისის ყველა საჯარო სკოლაში დაიწყო, 2011-2012 სასწავლო წლიდან კი, სავალდებულო დისციპლინის სახით შევა საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-4 კლასში.

ქართული ცეკვის საგნობრივი პროგრამა სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა. პროგრამის საგნობრივი პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დარგის ექსპერტები:

**თენგიზ უთმელიძე** – ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;

**ფრიდონ სულაბერიძე** – საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი;

**რევაზ ჭანიშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი, ფოლკლორის ცენტრის ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი;

**უჩა დვალიშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მოსწავლეთა სასახლის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი;

**ლევან კუბლაშვილი** – ანსამბლი „ერისიონი“, ანსამბლ „ელეონის“ ხელმძღვანელი.

ექსპერტთა მუშაობას კოორდინაციას უწევდა სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მუსიკის ექსპერტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი **რუსუდან თაყაიშვილი**.

დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების აზრით, ახალი საგანი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ჰარმონიულ განვითარებას.



სპორტი

# საჯარო სკოლების საფეხბურთო ლიგა

მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და წახალისების მიზნით, საქართველოს საჯარო სკოლებში საფეხბურთო ლიგა შეიქმნა. ლიგის შექმნის შესახებ მემორანდუმს ხელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** მოაწერეს. ღონისძიებას ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** ესწრებოდა.

მემორანდუმის თანახმად, საფეხბურთო ლიგის ფარგლებში, 2011 წელს, საქართველოს საჯარო სკოლებს შორის, ფეხბურთის ჩემპიონატი მოეწყობა, გამარჯვებული გუნდი, ივლისის თვეში, ფინალურ მატჩზე გამოვლინდება.

საფეხბურთო ლიგის დაარსებითა და საჯარო სკოლებს შორის სასკოლო ჩემპიონატის ჩატარებით, გაუმჯობესდება მოსწავლეთა სპორტული მომზადების დონე, მოხდება ქართული ფეხბურთის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ანალოგიური ლიგების შექმნა, სასკოლო სპორტული ჩემპიონატების ორგანიზება მომავალში ხელს შეუწყობს მოზარდებს შორის სპორტული რესურსის გამოვლენას და მათ წახალისებას.

მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უზრუნველყოფს საჯარო სკოლების სპორტის მასწავლებელთა გადამზადებას UEFA-სა და FIFA-ს სტანდარტებით, გადამზადებული პედაგოგები შესაბამის სერტიფიკატებს მიიღებენ.

საფეხბურთო ლიგის შექმნა და საჯარო სკოლებს შორის ფეხბურთში ჩემპიონატის ჩატარება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 2010 წელს, სკოლებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილები სპორტის გაკვეთილებმა ჩაანაცვლეს. სკოლებში თერთმეტი სპორტული ლიგა შეიქმნა, ეწყობა სასკოლი ჩემპიონატები, მოსწავლეებში იზრდება მოტივაცია და მკვიდრდება ჯანსაღი ცხოვრების წესი

# სტუდენტური „რომპეტროლიადა“

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია „სათხილამურო რომპეტროლიადისთვის“ ემზადება, რომელიც „საუნივერსიტეტო რომპეტროლიადა-2011“ ფარგლებში, 18-20 თებერვალს, გუდაურში გაიმართება. მოგეხსენებათ, აღნიშნული ფედერაციის პარტნიორი ნავთობკომპანია „რომპეტროლია“ და „სტუდენტური რომპეტროლიადის“ მთავარი სპონსორიც ისაა, მათ შორის – მოთხილამურეთა ამ შეჯიბრებისაც. ფედერაცია სერიოზულად ემზადება ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად – ხელმძღვანელობამ მონაწილეობის შესახებ განაცხადი 42 უმაღლეს სასწავლებელს დაუგზავნა. შეჯიბრება ორ დისციპლინაში – სლალომსა და გიგანტურ სლალომში გაიმართება და ყოველ სასწავლებელს, თითოეულ სახეობაში, 2-2 ქალ-ვაჟის გამოყვანა ევალება. მთლიანობაში, მოელიან, რომ ტურნირში 100-ზე მეტი სტუდენტი გამოვა. ყოველ შემთხვევაში, ფედერაცია სასწავლებლებისგან მონაწილეობას მკაცრად მოითხოვს. მით უფრო, ეს მსოფლიო უნივერსიადისთვის შესარჩევი შეჯიბრებაა – გამარჯვებულები გაემგზავრებიან.

*„ჩვენი კომპანიისთვის ახალგაზრდული სპორტის განვითარება, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამიტომ „რომპეტროლი“ ყოველთვის მიესალმება ჯანმრთელი ცხოვრების წესს და სპორტში მაქსიმალურად მეტი ახალგაზრდის ჩაბმას. დარწმუნებული ვარ, სპორტის ზამთრის სახეობები სტუდენტებს შორის დიდ ინტერესს გამოიწვევს და სიამოვნებით ჩაერთვებიან ტურნირში. ადგილობრივ შეჯიბრებაში მონაწილეობის გარდა, მათ საშუალება ეძლევათ, უფრო ფართო ასპარეზზეც გამოსცადონ თავისი შესაძლებლობები და მსოფლიო უნივერსიადაზე გაემგზავრონ“* – განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა **ალექსანდრე ალბინმა**.

# მოთხილამურეები მსოფლიოზე



რატომღაც ისე მოხდა, საქართველოში თოვლის მოსვლას დაემთხვა ახალგაზრდა სამთო მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობს შვეიცარიის სამთო კურორტ გრანდ მონტანაში. საქართველოდან იქ 4-კაციანი გუნდი გამოდის, რომელთაგანაც ყველაზე უკეთ 19 წლის **ალექსი ბენიანიძე** გამოვიდა. ორშაბათს მან სლალომში ისრიალა და, 130 მონაწილეს შორის, 30-ე ადგილზე გავიდა. **კოტე ვახტანგიშვილი** 53-ე იყო, **ჯაბა გელაშვილმა** ტრასა ვერ ჩაამთავრა, ხოლო **ელენე გედევანიშვილის** უმცროსი ძმა – **დიმიტრი გედევანიშვილი** საერთოდ არ გასულა სტარტზე.

ამ ტურნირზე არა, მაგრამ იტალიურ კურორტ აბეტონეში წარმატებით ისრიალა კიდევ ერთმა ახალგაზრდა ქართველმა მოთხილამურემ – **ნინო წიკლაურმა**. მან ორ სლალომსა და ამდენივე გიგანტურ სლალომში იასპარეზა და ერთ-ერთში ვერცხლის მედალიც მოიპოვა. საქართველო მაინცდამაინც არაა განებივრებული მედლებით სპორტის ზამთრის სახეობებში, ამ ახალგაზრდების წარმატება კი მომავლის იმედს გვიძლიერებს. ისინი მთელი სეზონი უცხოეთში, ძირითადად ავსტრიაში, ვარჯიშობენ, რადგან საქართველოში სათანადო ბაზები სრულიად მოიშალა და განადგურდა. სავარაუდოდ, ამ ახალგაზრდების წვრთნაში დახარჯული ფული შედეგს მოიტანს.

# სეზონი წარმატებით გახსნა



ახალი სეზონი წარმატებით გახსნა ხმლით მოფარიკავე **მიხეილ მარდალეიშვილმა**. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრმა, გასულ უქმეებზე, ლონდონში, ამავე ასაკის მოფარიკავეთა ევროპის თასზე იასპარეზა. ტურნირში 15 ქვეყნის 110 მოზარდი მონაწილეობდა, მარდალეიშვილი კი ნახევარფინალამდე უდანაკარგოდ მივიდა. მართალია, იქ დამარცხდა, მაგრამ ბრინჯაოს მედალი მაინც მოიპოვა, რაც ახალგაზრდა ქართველისთვის სოლიდური წარმატებაა. ქუთაისელი სპორტსმენი რეიტინგშიც საკმაოდ წინაა. თებერვალში ის და მისი თანაგუნდელები რამდენიმე დიდ პრიზზე და მსოფლიო თასის ეტაპებზე გამოვლენ, თვის ბოლოს კი ავსტრიულ კლაგენფურტში ევროპის პირველობაზეც იასპარეზებენ. იმედია, იქაც წარმატებით მოიქნევენ ხმალს.

# რუსთავი ისევ ჩემპიონია

რუსთავის „ენერჯი-ინვესტმა“ წარმატებით დაიცვა ტიტული 20-წლიანთა საქართველოს ჩემპიონატში და ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა. ახლო წარსულში რუსთაველთა ერთ-ერთი გამორჩეული კალათბურთელის – **რამაზ გოგობერიშვილის** გაწვრთნილმა გუნდმა ფინალში ორივე შეხვედრა მოუგო **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** „ჰიუნდაის“. რუსთაველთა წარმატება დიდწილად **აკაკი დვალიშვილის** ჩინებულმა თამაშმა განაპირობა. ის რეგულარულშიც გამოირჩეოდა კარგი თამაშით, ფინალში კი შეუჩერებელი იყო.

თუმცა გადამწყვეტი შეხვედრა „ჰიუნდაის“ უპირატესობით დაიწყო – პირველი ორი პერიოდი ისინი ლიდერობდნენ. მათ რიგებში კარგი თამაშით **დუდა სანაძე** და **ვასილ ბერუაშვილი** გამოირჩეოდნენ, რომლებსაც ლომის წილი შეჰქონდათ თავისი გუნდის წარმატებაში. თბილისელთათვის უსიამოვნო ამბები მესამე პერიოდიდან დაიწყო. ამ დროს დვალიშვილი სულ უფრო საშიში და შეუჩერებელი ხდებოდა მეტოქისთვის, რომლის განეიტრალება თბილისელმა კალათბურთელებმა ვერაფრით მოახერხეს – პრობლემები განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც ტანმაღალი **გიორგი ფერიაშვილი** გაუძევეს.



*რუბრიკას უძღვება* ***ირაკლი თავაძე***

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K